პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 131 (19273) პარასკევი, 7 ივნისი, 1985 წელი ფასი 3 კაპ.

კომუნისტის მორალური სახე

მთელი ჩვენი ქვეყანა პარტიის მორიგი, XXVII ყრილობისათვის ემზადება. საბჭოთა ადამიანები ბეჯითად, შემოქმედებითად იღვწიან, რომ მთლიანად შესრულდეს მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებანი და ახალ ხუთწლედს მტკიცე და საიმედო ბაზა ჰქონდეს. და ყველგან, სადაც ჩვენი გეგმები, ჩვენი ჩანაფიქრი რეალობად იქცევა, დიდ, ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო საქმიანობაში ტონს კომუნისტები იძლევიან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის აპრილის პლენუმის ტრიბუნიდან ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა თქვა: „საჭიროა უფრო მეტად მოვკითხოთ პარტიის თითოეულ წევრს საზოგადოებრივი მოვალეობისადმი დამოკიდებულებისათვის, პარტიული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის, პარტიელის პატიოსანი და სპეტაკი სახისათვის. კომუნისტი ფასდება მისი ქცევითა და საქმეებით. სხვა კრიტერიუმები არც არის და არც შეიძლება იყოს".

დღეს საქართველოს კომპარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი — 377 ათასამდე კაცს აერთიანებს. რესპუბლიკის მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლები შედიან პარტიაში და მისი საქმეებისათვის ბრძოლაში იზრდებიან. საქვეყნოდ არიან ცნობილი ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ზუგდიდელი მეჩაიე თამარ ყუფუნია, თბილისის „ელმავალმშენებლის" საწარმოო გაერთიანების კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი გურამ მეტონიძე, რუსთაველი მეფოლადე ზურაბ ლომიძე, გორელი მესილე არსენ ღოღიჯაშვილი, ზნაურელი ძქანიზატორი შოთა ქოქიევი და ბევრი სხვა მრავალი კომუნისტი, რომლებიც ღირსეულად ატარებენ ლენინური პარტიის წევრის მაღალ წოდებას. მათი ცხოვრებისეული პოზიცია უპირატესად ყოველისა შრომითი მიღწევების ფორმითაა და გამეფულებით გამოიხატება, მაგრამ მარტო კეთილსინდისიერი შრომით როდი გამოირჩევიან ისინი. თანამოსაქმეებს შეუძლიათ ბევრი რამ გვითხრან იმაზეც, თუ როგორ ერწყმის ორგანულად სწორედ ამ კეთილსინდისიერ შრომას, დაუღალავ შემოქმედებით ძიებას გულისხმიერება და გულითადობა ურთიერთობაში, თავაზიანობა, თავმდაბლობა, ტაქტი, მზადყოფნა დაეხმარონ ამხანაგს. მათთვის ამავე დროს დამახასიათებელია მომთხოვნელობა როგორც სხვებისადმი, ისე საკუთარი თავისადმი.

კომუნისტი არ უნდა შეურიგდეს „პასიურობას", სხვისი მოიმედოების განწყობილებას, ბიუროკრატიზმსა და არაკეთილსინდისიერებას.

არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ მორალური ფაქტორი — ადამიანთა განწყობილება, ქცევა, ზნეობრივი ნორმების დაცვა დღეს უდიდესწილად განაპირობებს ყველა ჩვენი გეგმების შედეგიანობას, შრომის ეფექტიანობასა და ხარისხს, ჩვენი ცხოვრების წესსა და სტილს. აი, რატომ არის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი ლენინურად ზრუნავს თითოეული კომუნისტის, ყველა მშრომელის იდეური წრთობისათვის, ყველა რგოლში და ყველა დონეზე წესრიგისა და შეგნებული სოციალისტური დისციპლინის დასამკვიდრებლად. სწორედ საამისოდ არის გამიზნული ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ ამ უკანასკნელ ხანს მიღებული მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რასაც ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მთელმა ჩვენმა საზოგადოებრიობამ.

ახლა თავიდათავი ის არის, რომ თითოეულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ, პარტიულმა კომიტეტებმა აქტიურად წარმართონ ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა შრომით კოლექტივებში, ყოველ სამუშაო უბანზე — იქნება ეს საამქრო თუ სამშენებლო უბანი, ბრიგადა თუ ფერმა, სამეცნიერო ლაბორატორია თუ მხატვრის სახელოსნო. მართალია, ამ დღეებში დამთავრდა სასწავლო წელი მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში, მაგრამ აღმზრდელობით მუშაობას არავითარი შესვენება არა აქვს. კიდევ უფრო უნარიანად უნდა გამოვიყენოთ ყველა ჩვენი იდეოლოგიური საშუალებანი, განსაკუთრებით პარტიული კრებები, რომლებსაც სამართლიანად უწოდებენ კომუნისტთა აღზრდის სკოლებს.

ამასთან, დასამალი როდია, რომ ამ კრებებს ყველგან და ყოველთვის უნარიანად ვერ იყენებდნენ. მართალია, პრაქტიკაში დანერგილი იყო კომუნისტთა ანგარიშების მოსმენა. მაგრამ ხშირ-ბშირად იფარგლებოდა ძირითადად კომუნისტის შრომითი საქმიანობით. რაც შეეხება მის მორალურ სახეს, ამას ხშირად ივიწყებდნენ ხოლმე. ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში უკანასკნელ ხანს დამკვიდრებულმა პრაქტიკამ, როცა კომუნისტთა ანგარიშების განხილვასთან ერთად მათი პარტიული დახასიათებებიც მტკიცდება, მნიშვნელოვნად გააძლიერა მომთხოვნელობა ამ მხრივაც, რომ — თითოეულ პარტიელს მოეთხოვება ყოფაქცევისათვის. მათ შორის იმისათვის, თუ როგორ ცხოვრობს, როგორ იქცევა საზოგადოებაში, როგორ ესმის მას პარტიის პოლიტიკა და როგორ იბრძვის პირადად მისი განხორციელებისათვის.

დღემდე ასეთი მომთხოვნელი ატესტაცია უკვე გაიარა 31.800-ზე მეტმა კომუნისტმა, მათ შორის სხვადასხვა გადაცდომისათვის, კომუნისტური მორალის პრინციპების დარღვევისათვის პარტიიდან გაირიცხა 66. რას მეტყველებს ეს? უპირველეს ყოვლისა იმას, რომ ღია პარტიულ კრებებზე გულახდილ, ობიექტურ და პირუთვნელ მსჯელობას უდიდესი აღმზრდელობითი ძალა აქვს, რომ ამხანაგების კეთილგანწყობილი კრიტიკა, საქმიანი რჩევა, მათი კონკრეტული წინადადებები კრების სხვა მონაწილეებზეც ახდენს გავლენას, კარგ ზემოქმედებას. მაგრამ, სამწუხაროდ, აქა-იქ ფორმალიზმსაც ვაწყდებით. ზოგს ვერ უთხრეს ბოლომდე პირში სათქმელი, ლიბერალურად მოექცნენ, ან თვალი დახუჭეს არაკეთილსინდისიერების ფაქტებზე. კარგია, რომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ასეთი კრებების მოწყობის პროცესს მართავენ, სისტემატურად აკონტროლებენ და შეცდომებსაც უსწორებენ პირველადს პარტორგანიზაციებს.

კომუნისტთა პრინციპულობის, თავისი ორგანიზაციების წევრებისადმი ნამდვილი პარტიული მომთხოვნელობის ვითარებაში გაიმართა კრებები ხაშურის რაიონის ქვიშხეთის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში, ახმეტის რაისამრეწველო კომბინატის, ბორჯომის სალიანდაგო დეპოს, ტყიბულის ზონის აგროსამრეწველო გაერთიანების და ბევრ სხვა პარტიულ ორგანიზაციაში, სადაც დიდი ადგილი დაუთმეს კომუნისტის მორალურ სახეზე საუბარს, მათი ქცევის, ყოფა-ცხოვრების კონკრეტული ფაქტების გულმოდგინე განსჯას.

მაგალითად, ბორჯომის რაიონის მიტარბის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ღია კრებაზე თავიანთ ამხანაგს ო. გაგლოშვილს იმის გარდა, რომ იგი დროებით მოსწყდა მეურნეობაში შრომას, ისიც უსაყვედურეს, რომ იგი „არც პოლიტიკური სიმწიფით გამოირჩევა და არც ზრუნავს თავისი იდეური ცოდნის დონის ასამაღლებლად".

დიახ, პარტიული ორგანიზაციების ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს როგორც შრომისადმი ადამიანის დამოკიდებულება, ისე მისი ქცევა. საჭიროა შეუწყნარებლობის ვითარება შევქმნათ იმათ გარშემო, ვინც არღვევს საზოგადოებრივ დისციპლინასა და წესრიგს, ფეხქვეშ თელავს ჩვენი ზნეობის ნორმებს. მტკიცედ უნდა წარემართოთ ბრძოლა განსაკუთრებით იმათ წინააღმდეგ, ვინც ეტანება ალკოჰოლს, კარგავს ადამიანის ღირსებასა და პატივს. ამ მხრივ პარტორგანიზაციათა მოქმედების საუკეთესო სახელმძღვანელოა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ მიღებული დადგენილება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ".

როგორც „კომუნისტის" მკითხველებმა იციან, ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს აპარატისა და თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 18 პოლიკლინიკის თანამშრომელთა მიერ დისციპლინის უხეში დარღვევისა და ბოროტმოქმედების, პასუხისმგებელი მუშაკების მიერ სამუშაო დროს ლოთობის ფაქტის მიჩქმალვის შესახებ და კონკრეტული დამნაშავენი მკაცრად დაისაჯნენ, თვით პარტიის რიგებიდან გარიცხვამდეც კი.

რა თქმა უნდა, პარტიის რიგებში ადგილი არ ექნებათ ყალბისმქმნელებსა და საქმოსნებს, იმათ, ვინც თანამდებობას ბოროტად იყენებს, ატყუებს ხალხსა და სახელმწიფოს. სამწუხაროდ, ბოლო ხანს დიდი დანაშაულებები მოხდა ხილბოსტნეულის სამინისტროს ლილოს კომბინატში, კასპის რაიკავშირში, ზოგიერთ ლვინის ქარხანაში, ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის აპარატში და სხვაგან. უფრო სამწუხარო კი ის არის, რომ ამ დანაშაულობათა ჭაობში ბევრი კომუნისტი აღმოჩნდა. ჩვენი მორალური პრინციპები ვერ ეგუება დათმობას ვერაფერში, მით უმეტეს ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტების დროს. განსაკუთრებით უნდა მოეკითხოს კომუნისტ ხელმძღვანელს. იგი ხომ მუდამ თვალწინ არის.

იდეურობა განუყოფელია პრინციპულობისაგან. მაგრამ ჯერ კიდევ არიან კომუნისტები ისეთებიც, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, მრწამსი მხოლოდ ენის წვერზე აკერიათ: რომ შეეკითხოთ, კარგად ჩაიხედებიან ჩვენს პოლიტიკას, ჩვენს პრინციპებს, მაგრამ ცხოვრებაში, პრაქტიკაში მათი განხორციელებისათვის თავს არ იწუხებენ, გულგრილად ეკიდებიან მათი დარღვევის ფაქტებს. ჭეშმარიტი კომუნისტისათვის კი შეუთავსებელია, რომ ცოდნას მოსდევდეს პრაქტიკული უმოქმედობა. ყოყოჩობა და ქედმაღლობა, ბიუროკრატიზმი და გულგრილობა ადამიანებისადმი, ლიტონი სიტყვები და დაუსაბუთებელი დაპირებანი, ლაყბობა ნამდვილი, კონკრეტული საქმის ნაცვლად—ყოველივე ეს უცხო მოვლენებია ჩვენი საერთო ცხოვრებისათვის, მით უმეტეს შეუწყნარებელია ისინი კომუნისტთა კოლექტივებში. ეს კარგად უნდა ახსოვდეს თითოეულ კომუნისტს, ყოველ ჩვენგანს.

ბრძნული ნათქვამია: სახელს სიყრმიდანვე უნდა ვუფრთხილდებოდეთ. ამ აზრს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს იმ აღმზრდელობით მუშაობასთან, რომელსაც პარტიული ორგანიზაციები ახალგაზრდა კომუნისტებთან ეწევიან. საჭიროა მუდმივი თვალყური, საჭიროა მათი გულმოდგინედ შემოწმება პარტიული დავალებებით, უფრო მკაცრად გაკონტროლება, თუ როგორ იცავენ პარტიულ, სახელმწიფო, შრომის დისციპლინას და ზნეობრივ ნორმებს.

კომუნისტი ყველგან მოწინავე და ამასთან იდეური მებრძოლია!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სარძეო კომპლექსებს — კომპეტენტური ხელმძღვანელობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა „საქცხოველმრეწვის" სარძეო კომპლექსებში საწარმოო სიმძლავრეთა ათვისების მიმდინარეობის საკითხი. აღინიშნა, რომ რძის წარმოების მოცულობისა და სახელმწიფოსათვის მისი მიყიდვის ყოველწლიური გადიდების, მთელი რიგი ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიუხედავად, „საქცხოველმრეწვის" 15 სარძეო კომპლექსიდან ძროხის სულადობის საწარმოო სიმძლავრეები აითვისეს მხოლოდ გარდაბნის რაიონის სართიჭალის კომპლექსში, ხოლო რძის წარმოების სიმძლავრეები არც ერთ მათგანს არ აუთვისებია.

შარშან საპროექტო სიმძლავრით გათვალისწინებული 35 ათასი ტონა რძის ნაცვლად კომპლექსებმა აწარმოეს მხოლოდ 12,7 ათასი ტონა. კომპლექსების უმრავლესობა რძის წარმოებისა და დამზადების შემცირებულ წლიურ გეგმებსაც კი ვერ ასრულებს.

1983–1984 წლებში სარძეო კომპლექსებს დააკლდათ 2.220 ხბო და დაკარგეს 3.200 ტონა რძე. საგარეჯოს რაიონის გარეჯის კომპლექსის რძის საწარმოო საპროექტო სიმძლავრე ათვისებულია მხოლოდ 11 პროცენტით, საჯულისისა (ქალაქ წყალტუბოს ზონა) — 13 პროცენტით, როდინაულისა (ზესტაფონის რაიონი) — 20 პროცენტით, განახლებისა (გალის რაიონი) — 25 პროცენტით.

მიმდინარე წლის 1 მაისისათვის გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 15-დან შვიდ კომპლექსში შემცირდა ერთი ძროხის საშუალო წველადობა, მათ შორის, საჯულის კომპლექსში — 172 კილოგრამით, დმანისის კომპლექსში — 160 კილოგრამით, როდინაულის კომპლექსში — 116 კილოგრამით.

მუღანლოს (მარნეულის რაიონი), განახლების (გალის რაიონი), საჯულის (ქალაქ წყალტუბოს ზონა), ხვედურეთის (ქარელის რაიონი), ქუთილარის (ახმეტის რაიონი) კომპლექსების საპროექტო სიმძლავრეთა აუთვისებლობის ძირითადი მიზეზებია ის, რომ საწარმოებს არ ჰყავთ უნარიანი ხელმძღვანელები, სუსტად აკონტროლებენ მათ საქმიანობას „საქცხოველმრეწვი" და ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო ორგანოები.

კომპლექსების დირექციები და პარტიული კომიტეტები სუსტად ზრუნავენ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, წარმოების ტექნოლოგიის დაცვისათვის, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვისათვის, იმისათვის, რომ შექმნან პირუტყვის შენახვისა და კვების, მისი მოვლის ჯეროვანი პირობები. აქედან მომდინარეობს საკვების დიდი გადახარჯვა, პროდუქციის თვითღირებულების გაძვირება, პირუტყვის მნიშვნელოვანი კლება.

სარძეო კომპლექსების პარტიული კომიტეტები დირექციებთან ერთად არ ეწევიან მიზანმიმართულ მუშაობას დადგენილ ვადებში საწარმოო სიმძლავრეთა ათვისებისათვის, არ რაზმავენ კოლექტივებს საგეგმო დავალებათა შესასრულებლად, არ ზრუნავენ იმისათვის, რომ წარმოების გადამწყვეტი უბნები დააკომპლექტონ კომუნისტებითა და კომკავშირელებით, ნიჭიერი ორგანიზატორებით. მაგალითად, მუღანლოს კომპლექსის 101 კომუნისტიდან უშუალოდ ფერმებში მხოლოდ 22 მუშაობს.

ისიც იგრძნობა, რომ სარძეო კომპლექსების დაპროექტება და მშენებლობა მიმდინარეობდა სერიოზული ხარვეზებით, რამაც მოითხოვა მათი რეკონსტრუქცია.

რესპუბლიკაში არ ყოფილა სპეციალური ორგანო, რომელიც განახორციელებდა კომპლექსების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების ექსპერტიზას. ქვეყნის სხვადასხვა ზონისათვის შემუშავებული ამ ნაგებობების ტიპობრივი პროექტები მექანიკურად ინერგებოდა ადგილობრივ პირობებში, რაც ქმნიდა და ქმნის სიძნელეებს კომპლექსების ექსპლოატაციის დროს.

რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქცხოველმრეწვმა" ვერ უზრუნველყო სარძეო კომპლექსების საპროექტო სიმძლავრით ამოქმედება. რაიონული და საქალაქო აგროსამრეწველო გაერთიანებანიც ნაკლებად სწვდებიან ხელმძღვანელობის კომპლექსების მუშაობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკური გაერთიანების „საქცხოველმრეწვის", სახელმწიფო სარძეო კომპლექსების დირექციებისა და პარტიული კომიტეტების მუშაობა საწარმოო სიმძლავრეთა ათვისებისათვის არადამაკმაყოფილებლად ცნო.

საკუთარი წარმოების ჩასაყენებელი მოზარდეულით სარძეო კომპლექსების დაკომპლექტების საჭიროებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს დაევალა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განიხილოს ამ კომპლექსების ახალი საპროექტო სიმძლავრეების დადგენის საკითხი. აგრეთვე ადგილობრივ პარტიულ და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებთან ერთად უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს დამატებითი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რათა დადგენილ ვადაში აითვისონ თითოეული კომპლექსის პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის საწარმოო სიმძლავრეები.

საქართველოს კომპარტიის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, რომელთა ტერიტორიებზე განლაგებულია მეცხოველეობის კომპლექსები, დაევალათ საგანგებო კონტროლი დააწესონ მათ მიერ საწარმოო სიმძლავრეების ათვისებას, ამ კომპლექსებში შრომის, საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებას.

(საქინფორმი).

მ. ს. გორბაჩოვმა დაათვალიერა გამოფენა

5 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა მოსკოვის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში დაათვალიერა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სახვითი ხელოვნების საკავშირო გამოფენა. მან მაღალი შეფასება მისცა ექსპოზიციაზე წარმოდგენილ ნაწარმოებებს.

გამოფენის დათვალიერებისას ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვს ახლდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი პ. ნ. დემიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ვ. თ. შაური, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ა. პონომარიოვი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ბ. ს. უგაროვი. (საქდესი).

ყრილობიდან ყრილობამდე

გაერთიანება „საქკონსერვმრეწვმა" შეასრულა მეთერთმეტე ხუთწლედის დავალება!

სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწია საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს გაერთიანება „საქკონსერვმრეწვმა". გაერთიანებამ პროდუქციის გამოშვების მეთერთმეტე ხუთწლედის დავალება ოთხ წელიწადსა და ხუთ თვეში გადაჭარბებით შეასრულა, მილიარდ 540,7 მილიონი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია მილიარდ 550 მილიონი მანეთის პროდუქცია.

თუ როგორ მიაღწიეს ამ წარმატებას მეკონსერვეებმა და სამომავლოდ რა პრობლემების გადაჭრას ვარაუდობენ, ამის თაობაზე „კომუნისტის" დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე მკითხველს ვთავაზობთ გაზეთის კორესპონდენტის საუბარს გაერთიანება „საქკონსერვმრეწვის" უფროსთან დ. კეკენაძესთან.

ტ. ჟივკოვი მოსკოვში ჩამოვიდა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით 6 ივნისს მოსკოვში მეგობრულ სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი.

აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სხვა ოფიციალური პირნი. (საქდესი).

საქდესის ცნობა

მიფრინავს „სოიუზ ტ-13"

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1985 წლის 6 ივნისს მოსკოვის დროით 10 საათსა და 40 წუთზე საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ ტ-13". მას მართავს ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში არიან ხომალდის მეთაური, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი პოლკოვნიკი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ჯანიბეკოვი და ბორტინჟინერი, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვიქტორ პეტრეს ძე სავინიხი.

„სოიუზ ტ-13" ხომალდის ფრენის პროგრამით უნდა განხორციელდეს ერთობლივი სამუშაოები „სალიუტ-7" ორბიტულ სამეცნიერო სადგურიდან. ამჟამად სადგური, რომელიც სამ წელიწადზე მეტი ხანია დედამიწისირგვლივ ორბიტაზეა, დაკონსერვებულ მდგომარეობაში დაფრინავს.

ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს, ეკიპაჟი თავს კარგად გრძნობს.

კოსმონავტები ჯანიბეკოვი და სავინიხი შეუდგნენ ფრენის პროგრამის შესრულებას.

ფრენის მართვის ცენტრი, 6 ივნისი. (საქდესი). ვლადიმერ ჯანიბეკოვისა და ვიქტორ სავინიხის სამუშაო დღე დამთავრდება დღეს 20 საათზე მოსკოვის დროით.

ფრენის პროგრამის შესაბამისად კოსმონავტებმა შეასრულეს ხომალდის ნაკვეთურების ჰერმეტულობის შემოწმებისა და მისი საბორტო სისტემების კონტროლის საშტატო ოპერაციები. მე-4 გარშემოვლის დროს მოეწყო მოძრაობის ტრაექტორიის კორექცია.

7 ივნისს ეკიპაჟი შეასრულებს ექსპერიმენტების სერიას „სოიუზ ტ-13" ხომალდის გაუმჯობესებული საბორტო სისტემების და ავტონომიური ფრენის დროს მისი მოძრაობის მართვის მეთოდების დასახვეწად.

კოსმონავტები ჯანიბეკოვი და სავინიხი თავს კარგად გრძნობენ. ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

ფურცლები ბიოგრაფიიდან

„სოიუზ ტ-13" ხომალდის მეთაური, პოლკოვნიკი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ჯანიბეკოვი

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ჯანიბეკოვი დაიბადა 1942 წლის 13 მაისს ტაშკენტის ოლქის ბოსტანლიკის რაიონის დაბა ისკანდარში.

1965 წელს ეისკის მფრინავთა უმაღლესი სამხედრო საავიაციო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მფრინავ-ინსტრუქტორად მსახურობდა სამხედრო-საჰაერო ძალებში.

ვ. ა. ჯანიბეკოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1970 წლიდან.

კოსმონავტთა რაზმშია 1970 წლიდან.

1978–1984 წლებში ვ. ა. ჯანიბეკოვმა განახორციელა ოთხი კოსმოსური ფრენა. იგი იყო „სალუტ-6" და „სალუტ-7" ორბიტულ სამეცნიერო სადგურებში წვევის ექსპედიციათა ეკიპაჟების მეთაური, მათ შორის ორი საერთაშორისო ექსპედიციისა, რომლებშიც მონღოლეთისა და საფრანგეთის კოსმონავტები მონაწილეობდნენ.

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ჯანიბეკოვი დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევა, არის უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

„სოიუზ ტ-13" ხომალდის ბორტინჟინერი ვიქტორ პეტრეს ძე სავინიხი

საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვიქტორ პეტრეს ძე სავინიხი დაიბადა 1940 წლის 7 მარტს კიროვის ოლქის ორიჩის რაიონის სოფელ ბერიოზკინში.

მან დაამთავრა პერმის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმი, მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

ვ. პ. სავინიხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1963 წლიდან.

1969 წელს მოსკოვის გეოდეზიის, აეროფოტოგადაღებისა და კარტოგრაფიის ინჟინერთა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საკონსტრუქტორო ბიუროში. ვიქტორ პეტრეს ძე სავინიხი ამუშავებდა ხელსაწყოებს კოსმოსური აპარატებისათვის, მონაწილეობდა კოსმოსური ხომალდების ფრენის მართვაში.

კოსმონავტთა რაზმში ვ. პ. სავინიხი ჩაირიცხა 1978 წელს. 1981 წელს მან განახორციელა 75 დღე-ღამის ხანგრძლივობის კოსმოსური ფრენა, როგორც „სალუტ-6" სადგურის ძირითადი ექსპედიციის ბორტინჟინერმა.

კოსმოდრომის ლეგენდარული ნიშანსვეტები

რეპორტაჟი „სოიუზ ტ-13" ხომალდის სტარტის ადგილიდან

ამ დღეებში სრულდება ბაიკონურის კოსმოდრომის 30 წლისთავი, რომლის აღსანიშნავი თავისებური სარაკეტო სალუტი გახდა „სოიუზ ტ-13" ხომალდის სტარტი. მას პილოტობენ სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები ვლადიმერ ჯანიბეკოვი და ვიქტორ სავინიხი. ეკიპაჟი შეუდგა ფრენის პროგრამის შესრულებას.

რა თქმა უნდა, სტარტისა და ბაიკონურის იუბილეს ერთდროულობა მხოლოდ დამთხვევაა, მაგრამ ბედნიერი დამთხვევა. ყველას, ვინც ამ დღეებში ყოფილა კოსმოდრომზე, მიეცა იშვიათი შესაძლებლობა, არა მარტო გაეხსენებინა სახელოვანი წარსული, არამედ ახალი კოსმოსური სტარტის მოწმეც გამხდარიყო.

ამ მატიანეს კი იწყებდნენ ბაიკონურის დღევანდელი ვეტერანები. ისინი გონების თვალს ავლებენ 1954 წლის სუსხიან ზამთარს, როცა ყაზახეთის უკაცრიელ ველზე მოვიდა სახელმწიფო კომისია, რათა შეერჩია მომავალი კოსმოსური პორტის ადგილი. მომდევნო წელს უკვე გაჩნდა პირველი კარვები და დაიწყო უჩვეულო მშენებლობა, 1957 წლის ოქტომბერში კი აქედან კოსმოსში აიჭრა დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი.

ვეტერანები დღეს ძლივს ცნობენ ბაიკონურს. ველზე გაშენდა მშვენიერი სამხრეთული ქალაქი. მრავალსართულიანი სახლები, გამწვანებული სწორი ქუჩები, სკოლები, ტექნიკუმები, ინსტიტუტის ფილიალი, კულტურის სახლი, კინოთეატრები, აუზი ამშვენებს მას. საბჭოთა კოსმონავტიკის წარმატების ამსახველი კოსმოდრომის ლეგენდარული ბედის ნიშანსვეტები აღნიშნულია იური გაგარინის, აკადემიკოსების ს. კოროლიოვის, მ. იანგელის ძეგლებით...

ბაიკონურის ისტორიაში ბევრი ყოფილა მოვლენა, რომელთა შესახებ ცნობები იწყებოდა სიტყვებით: „პირველად კაცობრიობის ისტორიაში". დღეს კოსმოსის შტურმს განაგრძობენ ვ. ჯანიბეკოვი და ვ. სავინიხი. უმაღლესი კლასის პროფესიონალი ვ. ჯანიბეკოვი პირველი საბჭოთა კოსმონავტია, რომელიც მეხუთედ მიფრინავს კოსმოსში. თავდაპირველად იგი იყო მეთაური მადუბლირებელი ეკიპაჟისა, რომელიც ემზადებოდა „სოიუზ-აპოლონის" პროექტით ფრენისათვის. ეს მოხდა ათ წელზე მეტი ხნის წინათ. 1978 წლის იანვარში ო. მაკაროვთან ერთად ვლადიმერმა განახორციელა კოსმონავტიკის ისტორიაში პირველი წვევის ექსპედიცია „სალუტ-6"—„სოიუზ—26" ორბიტულ კომპლექსზე, რომელშიც შრომობდნენ ი. რომანენკო და გ. გრეჩკო. იგი ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ეკიპაჟს, შემდეგ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთისას, ხოლო შარშან ივლისში ს. სავიცკაიასთან და ი. ვოლკთან ერთად მუშაობდა „სალუტ-7" სადგურში, გავიდა ღია კოსმოსში. მის „ნამსახურობის ნუსხაში" არ არის აღნიშნული ხანგრძლივი ექსპედიციები, მაგრამ ხანმოკლე, დინამიკით აღსავსე ფრენის რეალიზაციაში იგი უბადლო ოსტატია.

კოსმოდრომზე გაფრენის წინ ოლეგ მაკაროვს ვკითხე, რა აზრისაა თავის ამხანაგზე.

— ვლადიმერს პირველი წელი როდია რაც ვიცნობ. — თქვა მან, — ქედს ვიხრი მისი მამაცობის, გამოცდილების, ტაქტის წინაშე. ჩემი აზრით დღეს არ გვყავს მასზე უფრო საიმედო კოსმოსური ოპერატორი.

კითხვაზე „ხომ არ გინატრებათ ხანგრძლივი ფრენა?" გვიპასუხა: როცა შეპირაპირებიდან ერთი კვირის შემდეგ ორბიტულ სადგურს ტოვებ, დაუკმაყოფილებლობის გასაგებ გრძნობას განიცდი. მაინც გინდა დარჩე და კიდევ იმუშაო...

ალბათ, ასე გრძნობდა თავს ვლადიმერ ალექსანდრეს ძე 1981 წლის მარტშიც, როცა „სალუტ-6" სადგურში ეთხოვებოდა ვ. კოვალიონოკსა და ვ. სავინიხს საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ექსპედიციის დამთავრების შემდეგ. ვიქტორისათვის კი ეს წელი, შეიძლება ითქვას, უბედნიერესი იყო. მოგვიანებით მან მას „მრგვალი თარიღების" წელი უწოდა. მანამდე 10 წლით ადრე, როცა იგი ბაიკონურზე მუშაობდა და სტარტისათვის პირველ სადგურ „სალუტს" ამზადებდა, შეიტანა განცხადება და ითხოვა ჩაერიცხათ კოსმონავტთა რაზმში. 1981 წელს გახდა პლანეტის მესი კოსმონავტი. კოსმონავტიკის დღეს, რომელიც იური გაგარინის ფრენის 20 წლისთავს დაემთხვა, ორბიტაზე შეხვდა.

შემდეგ არაერთგზის შევხვედრივართ ვიქტორს ვარსკვლავეთის ქალაქში, როცა ახალ ეკიპაჟებს ვაცილებდით ბაიკონურზე. მაშინ იგი დუბლიორი იყო, მაგრამ, ემზადებოდა ახალი ფრენისათვის, არც მეცნიერული მუშაობა ავიწყდებოდა. ვფიქრობ, რომ ვიქტორისათვის ეს წელიც ბედნიერი იქნება: კოსმოდრომზე გაფრენამდე ერთი დღით ადრე მან წარმატებით დაიცვა თავის მშობლიურ ინსტიტუტში მოსკოვის გეოდეზიის, აეროფოტოგადაღებისა და კარტოგრაფიის ინჟინერთა ინსტიტუტში დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

— კმაყოფილი ვარ ვიქტორით, — მითხრა მისი სამუშაოს ხელმძღვანელმა, პროფესორმა ი. ივანდიკოვმა. — დაცვამ კარგად ჩაიარა. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ვიქტორმა შეძლო ამ კვლევაში ჩაექსოვა თავისი კოსმოსური გამოცდილება. იგი ხომ დიპლომიანი ინჟინერი ოპტიკოსია და „სალუტ-6-ით" ექსპედიციის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საქმის სწორედ ამ მხარეს.

თითოეული კოსმოსური სტარტი გამოუცნობ სამყაროში გადადგმული ნაბიჯია. აქ, ბაიკონურზე, ოცდაათი წლის წინათ დაწყებული საქმე გრძელდება. კოსმოსისაკენ მიმავალი გზა ხომ უსასრულოა.

ბაიკონურის კოსმოდრომი.

ვ. ოვჩაროვი,

(საქდესის სპეც. კორ.).

დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის

გამოვიდა ბროშურა „დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავი". ბროშურაში შეტანილია დიადი გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი დოკუმენტები.

ბროშურაში შევიდა 1985 წლის 8 მაისს კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართული საზეიმო კრების მასალები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება, სხვათა გამოსვლები. გამოქვეყნდა აგრეთვე 1985 წლის 5 მაისს დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული შეხვედრის ანგარიში, მეორე მსოფლიო ომის 40 წლისთავთან დაკავშირებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა ყველა ქვეყნის ხალხებს, პარლამენტებსა და მთავრობებს, სხვა მასალები. (საქდესი).

პარტიული ცხოვრება: ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები

მომთხოვნელობა ზრდის პასუხისმგებლობას

ნავსადგურში ერთდროულად რამდენიმე გემი ჩამოდგა. დასამუშავებელია ათიათასობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. გემები დაგეგმილ დროში თუ არ დამუშავდა, ნავსადგური ჯარიმას იხდის. უფრო მეტიც, გემი თუ უცხოეთისაა, ჯარიმას ვალუტით იხდის ქვეყანა. ეს წესი იცის ყოველმა დოკერმა, ყოველმა დამხმარე მუშამ. მათ ისიც აქვთ შეგნებული, რომ გემების ვადამდე დამუშავებით ქვეყანა მნიშვნელოვან ეკონომიკურ მოგებას ნახულობს. საერთოდ, საზღვაო ტრანსპორტის გამართულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის აღმავლობა.

ბათუმის ნავსადგურის წარმატებებში გადამწყვეტ როლს კომუნისტები ასრულებენ. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: შარშან ნავსადგურმა ტვირთის დამუშავების წლიური გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულა, წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით დაამუშავეთ 56,8 ათასი ტონა ტვირთი, დაზოგეთ 5.180 გემსაათი. დატვირთვის ეფექტიანი მეთოდების გამოყენებით გამოთავისუფლდა 1300 ვაგონი. ეს ციფრები ნათლად მეტყველებს უდიდეს ეკონომიკურ ეფექტზე.

ჩვენთან, ნავსადგურში, 10 საამქრო პარტიული ორგანიზაცია და 10 პარტჯგუფია. 220 კომუნისტი დასაქმებულია გადამწყვეტ უბნებზე — ნავსადგურის ხელმძღვანელებით დაწყებული, რიგით მექანიზატორამდე. ძირითადი წამყვანი ძალა დოკერები არიან, ისინი ასრულებენ გემების დამუშავების უყველაზე რთულ ოპერაციებს. ამიტომაც ვცდილობთ დოკერთა ბრიგადები და უბნები დავაკომპლექტოთ ყველაზე მოწინავე და შეგნებული ადამიანებით და მიზანსაც ვაღწევთ. მეოთხე ბრიგადის პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელი ზ. ჩაჩავა გამოირჩევა თავდადებითა და პირადი პასუხისმგებლობით.

ეკონომიკის სფეროში ...

იგი არა მარტო ბრიგადას, არამედ სატვირთო რაიონის ყოველ მუშაკს შრომის კარგ მაგალითს აძლევს. თანამოსაქმეს არ ჩამორჩება № 1 ბრიგადის პარტჯგუფორგი შ. მეგრელიშვილი. დამრიგებლობის სკოლისთვის მაგალითს იძლევა ოსტატი ვლ. ჯანელიძე, რომელმაც უკვე დაამუშავა ბევრი ახალბედა.

შეიძლება ვთქვათ, გვაქვს უკვე სათანადო გამოცდილება, რომ ვმართოთ სწავლების, აღზრდის, პროფესიის დაუფლების პროცესი. ნავსადგურის პარტიულ კომიტეტს დიდად ეხმარება სატვირთო რაიონის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

...

ბ. ბოლქვაძე,
ბათუმის საზღვაო ნავსადგურის პარტკომის მდივანი.

კიდევ ერთი მაღლივი...

ნუცუბიძის ქუჩას დაამშვენებს კიდევ ერთი მაღლივი ექსპერიმენტული საცხოვრებელი კორპუსი, რომელსაც „თბილისქალაქმშენის“ № 2 სახლთმშენებელი კომბინატი აგებს. ასეთი მაღლივი კორპუსი, რომლის პროექტის ავტორიც ა. თუხარელია, ნუცუბიძის დასახლებაში შემდგომშიც აშენდება. მშენებლობაზე ძირითადად ახალგაზრდები არიან დასაქმებულნი და კარგადაც ართმევენ თავს გეგმებს.

სურათზე: (მარცხნიდან) ელექტროშემდუღებელი ა. ბედოიძე, მშენებლობის შიდა სამუშაოების უფროსი გ. ბიაშვილი, დურგალი ვ. გოგუაძე, სანტექნიკური მონტაჟის უფროსი მ. ბაჩილავა, წამყვანი მემონტაჟე ა. კობახიძე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

მისი სახელი მარად იცოცხლებს

მიხა ცხაკაია — ეს სახელი ძვირფასი და საყვარელია საქართველოს, ამიერკავკასიისა და მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის. იგი, კომუნისტური პარტიის, საერთაშორისო კომუნისტური ...

... ჯიქია, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი ფ. მახარაძე, სკკპ წევრი 1917 წლიდან გ. მორიანაშვილი.

მიხა ცხაკაია, თქვენს ორატორ...

... ცხაკაიას სტატიები და სიტყვები".

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ენდელაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე.

(საქინფორმი).

ამას წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ თავის მორიგ სხდომაზე განიხილა საკითხი — აგროსამრეწველო კომპლექსის გადამამუშავებელი მრეწველობის როლის შესახებ ხახურხათო პროგრამის განხორციელების ...

... ვუშვებთ. ეს იქნება ჩვენი პატარა საჩუქარი სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებისადმი.

გამოშვება, გამოშვებაა. ცხადია, მთავარია აგრეთვე სასაქონლო პროდუქციის რეალიზაცია. ...

ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXVII ყრილობას

კონსერვები, ხილის წვენები და მომხმარებელი

ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია

... კონსერვებს თავზარს სცემდა. განსაკუთრებით დიდ მოთხოვნებს გვიყენებენ მოძმე რესპუბლიკების მომხმარებლები. ათი-თორმეტი წლის წინათ რეკლამაციით მიღებული ზარალი ისე დიდი იყო, ...

... მრავალი სახის მაღალხარისხოვანი ნედლეული თუ ვერ მოგვაწოდეს, რა თქმა უნდა, ვერ დავიცავთ ასორტიმენტსა და ხარისხს. როგორც ვიცით, ამ ბოლო წლებში სულ უფრო ნაკლებად ვღე...

დიდი ზომის, უხეიროდ გაფორმებული ქილით კარგი ხარისხის პროდუქციასაც კი უჭირს გასაღება. ამიტომ გაერთიანება ხილის წვენებს მეტწილად 0,5 და 0,33 ლიტრის ტევადობის ლამაზ ...

... გაერთიანება „საქკონსერვმრეწვის“ უფროსის საუბრიდან ვრწმუნდებით, რომ რესპუბლიკის მეკონსერვეებს მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ პერიოდში ურიგოდ არ უმუშავიათ. შედეგიც თვალსაჩინოა. მიუხედავად ამისა, მეკონსერვეებს ბევრი პრობლემური საკითხი აქვთ მოსაგვარებელი. თქმა არ უნდა, რომ მომხმარებელი ყოველთვის საჭირო რაოდენობით ვერ იძენს მაღალხარისხოვან და მრავალი სახის პროდუქციას. ზოგიერთი ნაწარმის ქურქლის მხატვრული გაფორმებაც თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ვერ არის.

... ამ პრობლემების მოგვარება უკვე დაიწყო. გაერთიანების მუშაკები ვარაუდობენ, რომ ხამომავლოდ „საქკონსერვმრეწვის“ პროდუქციის უმეტესობა მაღალხარისხოვანი იქნება, ჭურჭელიც მსოფლიო სტანდარტების დონეზე გაფორმდება. დამაიმედებელი დაპირება ახლო მომავალში რეალობად იქცევა.

როგორი მდგომარეობაა ხილის წვენების ვაჭრობაში? ამ საუბრის შემდეგ ეს კითხვა უთუოდ დაებადება მკითხველს. არასახარბიელო, მოუწყნელი! — დავსძენთ ჩვენ. ამის გამო შეიძლება ვაჭრობის მუშაკები გაგვიწყრნენ, მაგრამ ვთხოვთ გულდასმით მოგვისმინონ: ...

... რაიონების ცენტრების მაღაზიებს არ გასცდენია. სოფლებში კი ეს საჭირო და სასარგებლო პროდუქცია ნაკლებად მიდის. განსაკუთრებით უხეიროდ მარაგდებიან მთის რაიონების სოფლები. შარშან ლენტეხის რაიონში 9 ათასი პირობითი ქილა ხილის წვენი უნდა მიეღოთ, თიანეთისაში — 27 ათასი, მესტიაში 8 ათასი, ყაზბეგისაში — 24 ათასი, ცაგერისაში — 18 ათასი პირობითი ქილა. მიიტანეს? არა. ამ რაიონების უმეტესობაში ვერც ხილი მიიტანეს იმდენი, რამდენიც ფონდის მიხედვით ეკუთვნოდათ. ...

მ. ბოჭორიშვილი.

„კომუნისტის“ კორესპონდენტის კომენტარი:

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ უპასუხებს

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მეცხოველეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების „საქცხოველმრეწვის“ თავმჯდომარე ა. გასანოვი

„საქცხოველმრეწვის“ გაერთიანების თავმჯდომარე ა. გასანოვი გვწერს, რომ გაზეთ „კომუნისტის“ 11 აპრილის ნომერში დაბეჭდილ კორესპონდენციაში „დაგეგმილი ზარალი?“ მოყვანილი ფაქტები, რომლებიც ეხება საგარეჯოს რაიონის გარეჯის მერძეულობის კომპლექსის საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებს, სწორია.

კომპლექსის სიმძლავრეების დროულად ამოქმედებას, პირუტყვის დაავადებათა აღკვეთას საგრძნობლად აფერხებს სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოთა გაჭიანურება. სარეკონსტრუქციო სამუშაოებს უხარისხოდ ეკიდება რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს პირველი ტრესტის სამშენებლო სამმართველო, რომელსაც სამუშაო ჯერ კიდევ შარშანწინ უნდა დაემთავრებინა. იგი ახლაც არ არის დამთავრებული და ნელი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა. აქვე უნდა აღინიშნოს თვით „საქცხოველმრეწვის“ სამშენებლო სარემონტო სამმართველოს (ამხ. ა. ქვეკვეცია) არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. ...

სასკოლო რეფორმა მოქმედებს

სიღნაღელთა პირველი ნაბიჯები

ახალ სასკოლო რეფორმას, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მომავალი თაობის შრომითი აღზრდის გაუმჯობესება, უკვე ბევრი სასიკეთო ცვლილება მოჰყვა. რეფორმის განხორციელება მთელი ჩვენი საზოგადოების, უპირველესად კი სკოლების პედაგოგიური კოლექტივების, საბაზო ორგანიზაციების საქმეა.

სიღნაღის რაიონში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებს სათავე...

სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოს საშუალო სკოლისა და „წნორის“ მსხვილფეხა საქონლის სადედე-სასუქებელი კომპლექსის ბაზაზე შეიქმნა და ფუნქციონირებს სკოლა-საბჭოთა მეურნეობა. კომპლექსის ადმინისტრაციულ შენობაში სკოლა-საბჭოთა მეურნეობას გამოეყო სამუშაო ოთახები, აქვს ვენახის ფართობი, მალე სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკისა და საშუალო სკოლის ბაზაზე შეიქმნება სკოლა-ფაბრიკა.

...

კანონის ძალა და უფლებამოსილება

ლოთობა უნდა მოიკვეთოს

პირველი ივნისიდან ძალაში შევიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

ამ ბრძანებულებამ, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებში გამოცემულმა შესაბამისმა ბრძანებულებებმა მოქმედ კანონმდებლობაში შეიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უფრო მეტ საშუალებას იძლევიან ლოთობის, სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენების, არყის შინ გამოხდის წინააღმდეგ მკაცრი და ეფექტიანი ბრძოლისათვის.

ახალმა კანონმდებლობამ გააძლიერა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ქუჩებში, სტადიონებზე, სკვერებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმის ან მთვრალ, ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში ყოფნისათვის. ადრე თუ ასეთი მოქმედება მხოლოდ ჯარიმით ისჯებოდა, ამჟამად კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კერძოდ, აღნიშნული მოქმედებისათვის წლის განმავლობაში ორჯერ დასჯის შემდეგ დამრღვევის მიმართ შეიძლება ერთიდან ორ თვემდე გამასწორებელი სამუშაოების ან თხუთმეტ დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება. თუ საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმას ან მთვრალ მდგომარეობაში ყოფნას თან ახლავს საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა, ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა მსგავსი მოქმედება, ეს პირი ხულიგნობისათვისაც აგებს პასუხს.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაწესდა წარმოებაში სპირტიანი სასმელების სმის ან სამუშაოზე მთვრალ მდგომარეობაში ყოფნისათვის. ამასთან, ოსტატები, უბნების, ცეხების, საამქროების უფროსები და სხვა ხელმძღვანელები, რომლებიც მონაწილეობენ წარმოებაში ხელქვეით მუშაკებთან ერთად სპირტიანი სასმელების სმაში, ან რომლებმაც არ მიიღეს ზომები მთვრალ მდგომარეობაში მყოფ პირთა სამუშაოსაგან ჩამოშორებლად ან დამალეს მათი ხელქვეითი მუშაკების მიერ სპირტიანი სასმელების სმის ან სამუშაოზე მთვრალ მდგომარეობაში გამოცხადების ფაქტები, დაჯარიმდებიან ორმოცდაათიდან ას მანეთამდე. აღნიშნული მოქმედებანი ადრე მხოლოდ დისციპლინური წესით ისჯებოდა. ადმინისტრაციული სასჯელის გამოყენება არც ახლა გამორიცხავს დისციპლინურ პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, ადმინისტრაციას უფლება აქვს პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით ადმინისტრაციული წესით დასჯილ პირს მოუხსნას პრემიები, გასამრჯელო წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით, არ მისცეს დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების შეღავათიანი საგზურები, გადაუწიოს საცხოვრებელი ფართობის მიღების რიგი. ყველა ეს ღონისძიება უდავოდ ხელს შეუწყობს შრომის დისციპლინის განმტკიცებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

გაძლიერებულია მშობლების, აგრეთვე სხვა პირთა ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთა დათრობისა და ლოთობაში ჩათრევისათვის. დადგენილია, რომ საზოგადოებრივ ადგილებში თექვსმეტ წლამდე მოზარდის მთვრალ მდგომარეობაში ყოფნის, აგრეთვე მის მიერ სპირტიანი სასმელების სმისათვის ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე დაჯარიმდებიან მშობლები ან მათი შემცვლელი პირები. აკრძალულია სპირტიანი სასმელების წარმოებასა, შენახვასა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ სამუშაოზე თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირთა მიღება.

ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს ალკოჰოლიანი სასმელების ვაჭრობისათვის დადგენილი წესების დაცვას. მოქმედი კანონმდებლობით აკრძალულია, მაგალითად, ამ სასმელების გაყიდვა სამრეწველო საწარმოებსა და მშენებლობების, სასწავლებლების, საერთო საცხოვრებლების, საბავშვო დაწესებულებების, კულტურული და სანახაობითი საწარმოების ახლოს განლაგებულ სავაჭრო დაწესებულებებში, მშრომელთა მასობრივი სეირნობისა და დასვენების ადგილებში. აკრძალულია სპირტიანი სასმელების იმ პირთათვის მიყიდვა, რომლებსაც არ შესრულებიათ ოცდაერთი წელი. დაწესებულია ღვინო-არყის ნაწარმის ვაჭრობისათვის მთელი რიგი სხვა შეზღუდვები. აღნიშნული წესების დარღვევისათვის სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების მუშაკები დაჯარიმდებიან ორმოცდაათიდან ას მანეთამდე, ხოლო წლის განმავლობაში იგივე ქმედობის განმეორებით ჩადენისათვის, დამნაშავე მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში და შეეფარდება ორ წლამდე გამასწორებელი სამუშაოები ან ორასიდან სამას მანეთამდე ჯარიმა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მუშაობის უფლების ჩამორთმევით სამიდან ხუთ წლამდე ვადით.

ჩვენი რესპუბლიკისა და სომხეთისათვის მნიშვნელოვან საკანონმდებლო სიახლეს წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესება მაგარი სპირტიანი სასმელების პირადი მოხმარების მიზნით შინ გამოხდის ან შენახვისათვის, აგრეთვე მათი გამოსახდელი აპარატების დამზადებისა და შენახვისათვის. ეს მოქმედება ისჯება ორ წლამდე გამასწორებელი სამუშაოებით ან ჯარიმით სამას მანეთამდე, ხოლო განმეორებით ჩადენისათვის თავისუფლების აღკვეთითაც ორ წლამდე ვადით.

სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში აღნიშნული მოქმედება ადრეც ისჯებოდა. ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ისჯებოდა და ისჯება მაგარი სპირტიანი სასმელების გასაღების მიზნით შინ გამოხდა ან გასაღება. ამჟამად აღნიშნული სასმელების წარმოებასა და რეალიზაციაზე დამყარებულია სრული სახელმწიფოებრივი მონოპოლია და, ვინც ამ წესს დაარღვევს, მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. გაიზარდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების შეძენისათვის. ასეთი მოქმედებისათვის დაწესდა ჯარიმა ოცდაათიდან ას მანეთამდე.

ცნობილია, თუ რა სავალალო შედეგებს იწვევს ავტოტრანსპორტის სიმთვრალეში მართვა, ახალი კანონმდებლობით გაძლიერებულია პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალებათა ნასვამ მდგომარეობაში მართვისათვის. მძღოლები, რომლებიც სიმთვრალეში მართავენ ტრანსპორტს, თუნდაც ამას რაიმე შედეგი არ მოჰყვეს, დაჯარიმდებიან ასი მანეთით ან ჩამოერთმევათ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება ერთიდან სამ წლამდე, ხოლო თუ ამ მოქმედებას განმეორებით ჩაიდენენ წლის განმავლობაში, მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

მნიშვნელოვან საკანონმდებლო სიახლეს წარმოადგენს იმ პირთა სამოქალაქო ქმედუნარიანობის შეზღუდვა, რომლებიც ეძალებიან სპირტიან სასმელებს და ამით თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებენ. სასამართლოს წესით ასეთ პირებს დაუწესდებათ მზრუნველობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი კარგავენ უფლებას მიიღონ ხელფასი, პენსია ან სხვა შემოსავალი და განკარგონ ისინი მზრუნველის თანხმობის გარეშე.

ასეთია, ძირითადად, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო სიახლენი. რასაკვირველია, აღნიშნულ მავნე ჩვევასა და სიმახინჯეს თავისთავად კარგი კანონი ვერ აღმოფხვრის. მთავარია ამ კანონის განუხრელი დაცვა და შესრულება, იმის მიღწევა, რომ მისი დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს რეაგირების გარეშე და ეს რეაგირება იყოს სამართლიანი და კანონიერი, გასაგები და მისაღები გარშემო მყოფთათვის. „...კი, — როგორც ამხანაგმა ე. შევარდნაძემ აღნიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმზე, — პირდაპირ უნდა ვთქვათ, მოითხოვს მეტად სერიოზულ ძვრებს ბევრ გავრცელებულ აზრში, თუ გნებავთ საზოგადოებრივ შეგნებაში“. ალკოჰოლიანი სასმელების მიღების ტრადიცია იმდენად არის ჩვენში ფესვმოკიდებული, რომ ღვინისა თუ არყის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია რაიმე მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო მოვლენის აღნიშვნა. თანაც, როგორ მომრავლდა ეს საზეიმო თარიღები, ნამდვილი თუ გამოგონილი დღესასწაულების გულუხვი ნადიმებით აღნიშვნა. ღვინის უზომოდ სმა ზოგს ვაჟკაცობის, ქართული სტუმართმოყვარეობის ატრიბუტად მიაჩნია და სტუმრის პატივისცემა ჰგონია, თუ ყელში ამოადენს სასმელს და დააკარგვინებს ადამიანურ სახეს. ზოგი იმასაც ირწმუნება, თითქოს ქართული სუფრა აკადემია იყოს და ჩვენი წინაპრები ქეიფის დროს წყვეტდნენ სახელმწიფო საქმეებს. რა აკადემიაა წრეგადასული ღრეობა, გალეშილი ხალხის ლაქლაქი და ტრაბახი, კარგად მოეხსენება ყველას, ვინც ამ აკადემიის მრავალსაათიან სხდომას დასწრებია თუ შესწრებია. რაც შეეხება წინაპრებს, საბედნიეროდ, მათ ძალიან კარგად ესმოდათ, რომ „მრავალნი დიდნი საძაგელნი მთვრალობისა მიერ აღმოცენდებიან და კეთილ არს წესიერად სუმაი, არა თუ ღვინისა, არამედ წყლისაცა“ („სწავლანი ფილოსოფოსთანი“). ლოთობას მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის ებრძოდა და პკიცხავდა. მეტიც, ძველი ქართული სამართლის ძეგლები, მაგალითად, ვახტანგ მეფის სამართლის წიგნი, დანაშაულის სიმთვრალეში ჩადენას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს. ეს მეტად იშვიათი შემთხვევაა არა მარტო ფეოდალური ხანის, არამედ მოგვიანებითი პერიოდის კანონმდებლობაშიც და ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა შეფასება ეძლეოდა ლოთობას ძველ საქართველოში.

არც ის გახლავთ სწორი, თითქოს ლოთობა ჩვენი რესპუბლიკისათვის არ იყოს პრობლემა. სამწუხაროდ, არავისზე ნაკლები და მშვიდი ლოთები ჩვენ არ გვყავს. ალკოჰოლის შხამი გამანადგურებელ ზემოქმედებას ახდენს ყველაზე მიუხედავად განათლებისა და სამსახურებრივი მდგომარეობისა, სარწმუნოებრივი თუ ეროვნული კუთვნილებისა. რესპუბლიკაში დანაშაულობათა ოცდაათი პროცენტი სიმთვრალეშია ჩადენილი. ლოთობის ნიადაგზე ხდება თითქმის ყოველი ბოროტი ხულიგნობა, ყოველი მეორე განზრახი მკვლელობა, ყოველი მესამე ყაჩაღობა, ყოველი მეხუთე ავტოავარია. ლოთობის გამო ინგრევა ყოველი მესამე ოჯახი, უაზროდ და უმიზნოდ იფლანგება უამრავი მატერიალური და სულიერი ღირებულებანი.

სულ რაღაც ერთი კვირაა მოქმედებს ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი კანონმდებლობა და უკვე იგრძნობა მისი დადებითი შედეგები, მცირდება სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი, ავტოავარიები, არასრულწლოვანთა სამართალდარღვევები. ბევრს დაუბრუნდა ზომიერების გრძნობა, ხალხმრავალი დღეობებს, ქელეხებისა თუ ქორწილების ჯადაბდა აღარ ითვლება პრესტიჟის საქმედ, ეროვნული ტრადიციების ერთგულებად. რასაკვირველია, ცხოვრება ბევრ რამეს გვიკარნახებს, შეიცვლება ლოთობის შესახებ საზოგადოებრივი აზრი და ფსიქოლოგია, დაიხვეწება და სრულყოფილი გახდება მის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო საშუალებები, მაგრამ არასოდეს არ მოხდება ის, რასაც ზოგი დემაგოგი ქადაგებს და წინასწარმეტყველებს. ქართველი გლეხი არასოდეს არ უღალატებს ვაზსა და ვენახს, არც ძილსა და მოსვენებას დაკარგავს იმის გამო, რომ მარანში აღარ ეგულება შინნახადი არყით სავსე ჭურჭლები. ვაზს სხვა ჯადოც აქვს. მარტო ღვინისა თუ არყის მიღების საშუალება არ არის. არც ის მოხდება, რომ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის მომიზეზებით შეილახოს მოქალაქის კანონიერი უფლებები და ინტერესები, დასაშვები და მოსათმენი გახდეს რაიმე თვითნებობა და უკანონობა.

კიდევ ერთი საკითხი, კანონი არ კრძალავს სპირტიანი სასმელების მიღებას, არც იმას ადგენს ვინ რამდენი უნდა დალიოს და როგორი სასმისით. ჩვენი სახელმწიფო ყიდის სპირტიან სასმელებს და, ბუნებრივია, მათი მოხმარებაც დასაშვებია. არჩევანზე თუ მიდგება, რასაკვირველია, ზომიერი სმა ჯობია უზომოს, მაგრამ ყოველთვის ჯობია ამ საწამლავის მიღებისაგან თავის შეკავება. არავინ იცის, სად გადის ზღვარი ზომიერ და უზომო სმას შორის. ყოველ შემთხვევაში ზომიერი სმა ლოთობასთან უფრო ახლოა, ვიდრე სიფხიზლესთან. ადამიანის ბუნებრივი, ნორმალური მდგომარეობა სიფხიზლეა და სწორედ მას უნდა გაეწიოს ყოველმხრივი პროპაგანდა. თითოეულმა მოქალაქემ უნდა ირწმუნოს, რომ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს პიროვნების, ოჯახის, საზოგადოების ინტერესებისათვის და ამ ბრძოლაში მონაწილეობა ყველა პატიოსანი მშრომელის მოვალეობა და პატრიოტული ვალია, ყველასი და თითოეულის საქმეა.

ახალმა კანონმდებლობამ დიდი ამოცანები დაუსახა სამართალდამცავ ორგანოებს. ამასთან დაკავშირებით, რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა და დაამტკიცა კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმა. გათვალისწინებულია ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის ფართოდ სწავლება და პროპაგანდა მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობას შორის. მზადდება ნორმატიული აქტების კრებული ლოთობასთან და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის საკითხებზე. სასამართლოებს მიეცათ მითითება ლოთობასთან დაკავშირებული საქმეები განიხილონ კანონით დადგენილ ვადებში და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, კონკრეტულ საქმეთა განხილვისას სრულად გამოავლინონ ლოთობის მიზეზები და ხელშემწყობი პირობები, მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები მათ აღმოსაფხვრელად, უზრუნველყონ დამნაშავეთა სამართლიანი დასჯა, არ დაუშვან უკანონო მსჯავრდების შემთხვევები.

რესპუბლიკის სასამართლოები და იუსტიციის ორგანოები თავიანთ წვლილს შეიტანენ ლოთობასთან ბრძოლაში ამ დიდი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ღონისძიების წარმატებით განხორციელებაში.

ა. შუშანაშვილი,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი.

სამეცნიერო სესია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და საქართველოს საისტორიო საზოგადოების გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც ახლახან გაიმართა დევიზით „მუზეუმები ქვეყნის სამსახურში“, გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გამგემ, საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ, აკადემიკოსმა ა. აფაქიძემ; საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ გ. ჟორჟოლიანმა დაწვრილებით ილაპარაკა საქართველოს მუზეუმების ამოცანებზე XII ხუთწლედში, საქართველოს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მრავალმხრივ მუშაობასა და მის მორიგ პერსპექტივებზე დამსწრეთ მოუთხრო ამ მუზეუმის დირექტორმა, პროფესორმა ლ. ჭილაშვილმა; ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა თ. სანიკიძემ ილაპარაკა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის სამეცნიერო-საექსპოზიციო საქმიანობაზე; თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა და ხალხური შემოქმედების მუზეუმის დირექტორებმა თ. ბერიძემ და გ. გოგიამ მსმენელთა ყურადღება გაამახვილეს მუზეუმებში მიმდინარე სამუშაოებსა და და სამომავლო გეგმებზე.

გარდა ამისა, მრავალ საჭირბოროტო და საინტერესო საკითხს გაუსვეს ხაზი სესიის მონაწილეებმა. და რაც მთავარია, ითქვა, რომ საჭიროა მომავალში რესპუბლიკაში უფრო ფართოდ აღინიშნოს მუზეუმების საერთაშორისო დღე, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს საქართველოს მუზეუმების სამეცნიერო-საექსპოზიციო და საგანმანათლებლო საქმიანობას.

სესიის მუშაობა შეაჯამა აკადემიკოსმა ა. აფაქიძემ.

ლ. ფულარიანი.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

6 ივნისი ■ საქდესი იუწყება.

ვაშინგტონი აძლიერებს ისტერიას

● რას ისახავს მიზნად პენტაგონის სამხედრო მანევრები ● სახელმწიფო დეპარტამენტისა და პენტაგონის ახალი ნაყალბევი ● ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მზაკვრული როლი.

მანაგუა. ვაშინგტონი აპირებს ნიკარაგუის წინააღმდეგ განახორციელოს დიდი მასშტაბის სამხედრო ოპერაცია, რათა მოსპოს სანდინისტური სახალხო რევოლუცია, განაცხადა რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ. რადიო-სატელევიზიო პროგრამაში „პირით ხალხისაკენ“ გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ ცენტრალურ ამერიკაში განუწყვეტლივ მიმდინარე პენტაგონის სამხედრო მანევრები მიზნად ისახავს ძირითად ამოცანას — დახვეწოს მოქმედება ნიკარაგუაში ამერიკის იმ ჯარების სასწრაფო გადაყვანისათვის, რომლებიც დისლოცირებულია ამერიკის შეერთებული შტატების ბაზებზე ჰონდურასში, პანამასა და თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

რეიგანის ადმინისტრაცია, ხაზს უსვამს დ. ორტეგა, ამწვავებს დაძაბულობას მეზობელ ქვეყნებთან ნიკარაგუის საზღვარზე პროვოკაციული მიზნით — გააჩაღოს აგრესია რესპუბლიკის წინააღმდეგ. იმის კვალობაზე, რომ სანდინისტური შეიარაღებული ძალები სულ უფრო საგრძნობ დარტყმებს აყენებენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაქირავებულებს, მატულობს ნიკარაგუაში ამერიკის მხედრიონის პირდაპირი შეჭრის საშიშროება. ამერიკის შეერთებული შტატების მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით, ვაშინგტონი არათუ არ გამორიცხავს ნიკარაგუაზე თავდასხმის შესაძლებლობას, არამედ აქტიურადაც მუშაობს ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც გაამართლებდა ინტერვენციონისტულ გეგმების პრაქტიკულ განხორციელებას.

დ. ორტეგამ ვაშინგტონის ადმინისტრაციის ბრალად დასდო მცდელობა გაემწვავებინა ნიკარაგუის ურთიერთობა კოსტა-რიკასთან და ჰონდურასთან. კოსტა-რიკის გარკვეული წრეები, ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა, დაჰყვნენ ამერიკის ნებას და ჩაებნენ თეთრი სახლის მიერ გაჩაღებულ ნიკარაგუის საწინააღმდეგო კამპანიაში.

ამასთან დაკავშირებით ნიკარაგუის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ნიკარაგუა-კოსტა-რიკის საზღვარზე ვითარების გამწვავებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ გაწვრთნილ სომოსელთა კონტრრევოლუციურ ბანდებს, რომლებიც შეუფერხებლად იყენებენ ნიკარაგუის მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიას სანდინისტური რევოლუციის წინააღმდეგ განუწყვეტელი შეიარაღებული გამოხდომებისათვის.

ვაშინგტონი. რეიგანის ადმინისტრაცია აძლიერებს ისტერიას ნიკარაგუის წინააღმდეგ, რათა კონგრესს გამოაყოფინოს ახალი მილიონობით დოლარი ნიკარაგუის წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომის დასაფინანსებლად. ამას მთელი სიცხადით მოწმობს სახელმწიფო დეპარტამენტისა და პენტაგონის მორიგი ნაყალბევი, რომელიც კონგრესს გაეგზავნა პრეტენზიული სახელწოდების ბროშურის სახით: „სანდინისტების სამხედრო ძლიერების ზრდა“. კონგრესმენებს მოურიდებლად აშინებენ მტკიცებებით, თითქოს ნიკარაგუა საფრთხეს უქმნიდეს არა მარტო მეზობელ ქვეყნებს, არამედ თვით შეერთებულ შტატებსაც.

ახალი ნაყალბევის გამოქვეყნება „დაემთხვა“ თეთრი სახლის მოქმედების გააქტიურებას იმ მიზნით, რომ კონგრესს მიაღებინოს უკვე არა 14 მილიონი დოლარის ასიგნებები, როგორც ეს წინათ იყო, არამედ 29 მილიონი დოლარი ასიგნებები დაქირავებულთა დახმარებით ნიკარაგუის წინააღმდეგ აგრესიის შემდგომი დაფინანსებისათვის.

კარაკასი. პენტაგონსა და ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა ნიკარაგუისა და კოსტა-რიკის ურთიერთობის გამწვავებისათვის, განაცხადა აქ ვენესუელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ექტორ მუხიკამ. არის იმის უცილობელი მტკიცებულებანი, თქვა ვენესუელელმა მოღვაწემ, რომ სომოსელთა ბანდების ტერორისტულ ოპერაციებში მონაწილე 20 „მწვანებერეტიანმა“ ამას წინათ ცეცხლი დაუშინა კოსტარიკელ მესაზღვრეებს. საქმე ეხება ამერიკის იმპერიალიზმის ახალ სამხედრო პროვოკაციას, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას ცენტრალურ ამერიკაში. ამ დაგეგმილი ინციდენტის ავტორებს სურდათ შეექმნათ საბაბი ნიკარაგუაში შეიარაღებული შეჭრისათვის.

აშშ
არაბთა გათიშვის მიზნით

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატის 69 წევრმა შეიტანა ერთობლივი პროექტი რეზოლუციისა, რომელიც რეიგანის ადმინისტრაციას მოუწოდებს თანამედროვე შეიარაღება არ გადასცეს იორდანიას მანამდე, სანამ იგი „პირდაპირ მოლაპარაკებას“ არ დაიწყებს ისრაელის მთავრობასთან. საქმე ეხება მოლაპარაკებას ისრაელის მიერ მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის ოკუპაციის პირობებში ანუ მოლაპარაკებას ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელ-ვაშინგტონის სტრატეგიული მოკავშირის მხრივ ძალდატანებისა და შანტაჟის პირობებში. სენატორებმა ამავე დროს გაილაშქრეს იმის წინააღმდეგ, რომ მოიწვიონ საერთაშორისო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. პროექტი შეიცავს აგრეთვე მოწოდებას ადმინისტრაციისადმი უზრუნველყოს არაბულ ქვეყნებთან შედარებით ისრაელის „სამხედრო უპირატესობის“ შენარჩუნება და „ყოველნაირად ეცადოს“ იორდანია ჩააბას პირდაპირ მოლაპარაკებაში თელ-ავივთან.

მიმომხილველები ამ აქციას მიიჩნევენ იორდანიაზე ძალდატანების მორიგ გაძლიერებად, რათა უბიძგონ მას ისრაელთან სეპარატული მორიგებების გზისაკენ, ჩაშალონ ახლო აღმოსავლეთის შესახებ საერთაშორისო კონფერენციის მოწყობა.

ავსტრია
მიიღეს განცხადება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნამიბიის საბჭოს საგანგებო სხდომა

ვენა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნამიბიის საბჭოს აქ მიმდინარე საგანგებო სხდომაზე მიიღეს განცხადება, რომელშიც უარყოფენ ნამიბიის სახელმწიფოსათვის ეგრეთ წოდებული „დროებითი მთავრობის“ შედგენას. განცხადებაში ნათქვამია, რომ მარიონეტული რეჟიმის შექმნა მიზნად ისახავს ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების შესრულების ჩაშლას.

საბჭომ მოუწოდა ყველა ქვეყანას არ ცნონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტთა ეს დამქაშები.

მოკლედ

● **კაირო. გაზეთმა „აშ-შარქ ალ-აუსათმა“ გამოააშკარავა თელ-ავივის გეგმები ლიბანში ისრაელის სამხედრო ყოფნის გამარადისების შესახებ.** თელ-ავივის იმ განცხადებების მიუხედავად, თითქოს მთავრდება ლიბანიდან ისრაელის ჯარების გაყვანა, აღნიშნავს გაზეთი, სინამდვილეში ოკუპანტები აპირებენ დარჩნენ ლიბანის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში.

უცხოელი მეთვალყურენი, რომლებიც ამასწინათ იყვნენ სამხრეთ ლიბანის მარჯაიუნის დასახლებული პუნქტის რაიონში, ადასტურებენ, რომ სულ ცოტა ხუთასი ისრაელი ოფიცერი და ჯარისკაცი კვლავაც იქნება ლიბანში, რათა მხარი დაუჭირონ და კოორდინაცია გაუწიონ მათ მიერ შექმნილი მარიონეტული არმიის მოქმედებას.

● **კიტო. ლათინური ამერიკის ქვეყნების მიმართ შეერთებული შტატების პოლიტიკა მკაცრად გააკრიტიკა ეკვადორის ყოფილმა პრეზიდენტმა და ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა გალო პლასა ლასომ.** რეიგანის ადმინისტრაცია, განაცხადა მან გაზეთ „ექსპრესოსათვის“ მიცემულ ინტერვიუში, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა არ დაუშვას, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებმა ერთიან ფრონტად იმოქმედონ რეგიონის პრობლემების გადაჭრისას.

● **სინგაპური. ზია-ულ-ჰაკის ადმინისტრაციის პოლიტიკური მანევრების მიზანია შეინარჩუნოს პაკისტანში სამხედრო ხელისუფლება და ქვეყნის მართვაში მონაწილეობას ჩამოაშოროს მოსახლეობის ფართო ფენები.** ასეთი დასკვნა გამოაქვთ ჰონკონგში გამომავალ ჟურნალ „ფარ ისტერნ ეკონომიკ რევიუს“, რომელმაც გამოაქვეყნა პაკისტანის შინაპოლიტიკური ვითარების ანალიზი. ბოლო ხანს, ხაზს უსვამს ჟურნალი, ეროვნული ასამბლეის დეპუტატთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეუერთდა ოპოზიციის მოთხოვნებს გააუქმონ სამხედრო წესები, პრესის ცენზურა და დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ყველა პოლიტიკური პატიმარი. მაგრამ, სამხედრო ადმინისტრაცია კვლავ მტრულად ეკიდება ყოველგვარ განცხადებას პაკისტანში დემოკრატიული გარდაქმნების აუცილებლობის შესახებ.

საბერძნეთი
მთავრობამ ფიცი დადო

ათენი. აქ ფიცი დადებინეს საბერძნეთის ახალ მთავრობას, რომელიც პრემიერ-მინისტრმა ა. პაპანდრეუმ შექმნა. ამ დროებით მთავრობაში, რომელიც იარსებებს ერთ თვეს — მინისტრთა საბჭოს წევრთა რიცხვის შემცირების შესახებ კანონპროექტის გამო კენჭისყრის მოწყობამდე, 18 მინისტრი შევიდა. პრემიერ-მინისტრს მთავრობაში უკავია აგრეთვე ეროვნული თავდაცვისა და ჩრდილოეთ საბერძნეთის საქმეთა მინისტრის პოსტი. საგარეო საქმეთა მინისტრი კვლავ ი. ხარალამბოპულოსია, ეროვნული ეკონომიკის, ფინანსთა და სავაჭრო ფლოტის მინისტრის პოსტს დაიკავებს გ. არსენისი.

პორტუგალია
ნატოს სესია

ლისაბონი. პორტუგალიის ქალაქ ეშტორილში გაიხსნა ნატოს საბჭოს სესია.

მასში მონაწილეობენ აგრესიული ჩრდილოატლანტიკური ბლოკის 16 წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები. სესიის დღის წესრიგის მთავარი პუნქტებია: რეიგანისეული „კოსმოსური ომების“ პროგრამა, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის პრობლემები, აგრეთვე ნატოს ქვეყნების შეიარაღების შემდგომი ზრდა.

როგორც ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, იმის გამო, რომ ვაშინგტონის ზოგიერთი მოკავშირე ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში მხარს არ უჭერს კოსმოსის მილიტარიზაციის საშიშ გეგმებს, პორტუგალიაში ჩამოსული ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი შეეცდება გააძლიეროს ზეგავლენა „კოსმოსური ომების“ მოწინააღმდეგეებზე.

კოლუმბია
ტერორისტული აქცია

ბოგოტა. კოლუმბიის დედაქალაქში თავს დაესხნენ კოლუმბიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრს, კონგრესის დეპუტატს, ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომიტეტის მდივანს ერნანდო ურტადოს. ორმა უცნობმა, მამაკაცმა და ქალმა, პისტოლეტის ოთხი გასროლით დაჭრეს თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე და მიიმალნენ.

კოლუმბიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხილბერტო ვიეირამ დაგმო ტერორისტული აქცია და აღნიშნა, რომ მას აშკარად პოლიტიკური ხასიათი აქვს. მან განაცხადა, რომ ერნანდო ურტადოზე თავდასხმა მემარცხენე ძალების წარმომადგენლების წინააღმდეგ ამ ბოლო ხანს ჩადენილ დანაშაულობათა ჯაჭვის კიდევ ერთი რგოლია. მათ აწყობენ კოლუმბიაში დემოკრატიული პროცესის განვითარების მოწინააღმდეგენი და მიზნად ისახავს ქვეყანაში ვითარების მოწესრიგების პროცესის ჩაშლას.

სოციალისტურ ქვეყნებში

ბულგარეთი



საერთაშორისო ბაზარზე, მათ შორის საბჭოთა კავშირში, ფართოდ არის ცნობილი პლოვდივის საბეჭდი მანქანების ქარხნის პროდუქცია.

ამას წინათ საწარმოს კოლექტივმა დაიწყო ახალი სერიის პორტატიული და ელექტრონული საბეჭდი მანქანების — „ხებროსის“ გამოშვება. ისინი გამოირჩევიან მაღალი ტექნიკური მაჩვენებლებით, გარეგნული სილამაზით და ტოლს არ უდებენ მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებს.

სურათზე: სამონტაჟო კონვეიერი. წინა პლანზე საწარმოს საუკეთესო ამწყობი, კომკავშირელი ეველინა ტანჩევა.

საქდესის ფოტო.

ვიეტნამი

ჰანოიში გაიხსნა საავტომობილო მოძრაობა წითელ მდინარეზე გაშენებული ხუთკილომეტრიანი ხიდის — „თხანგლონგის“ ზედა იარუსზე. ორიარუსიანი „აფრენილი დრაკონი“ — ასე ითარგმნება არა მარტო ვიეტნამში, არამედ მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში უდიდესი ხიდის სახელწოდება — საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის თანამშრომლობის ერთ-ერთი უდიდესი ობიექტია. „თხანგლონგის“ ქვედა იარუსზე, რომელიც უკვე მოქმედებს, გაყვანილია რკინიგზა.

სურათზე: ხიდი „თხანგლონგი“.

ვია-საქდესის ფოტო.

ფოტოინფორმაცია

ტრაგედია სან-ისიდროში

ჩეხოვიდან გვახსოვს, რომ თუ სპექტაკლის პირველ მოქმედებაში კედელზე ჰკიდია თოფი, უკანასკნელში ის უთუოდ უნდა გაისროლოს. ეს ფრთოსანი ფრაზა განეკუთვნება დრამატული ხელოვნების დარგებს, ჟანრის კანონებს, სადაც სცენის პატარა ფართობზე არაფერი არ უნდა იყოს ზედმეტი.

საშინელებაა, როცა ამ ჟანრის კანონები მოქმედებს დიდ ცხოვრებაში. ველური დასავლეთის ათვისების დროიდან შემორჩენილი კოლტი ზედმეტად არც დღეს მიაჩნიათ ამერიკის რეალობაში. გაზეთების ცნობით, ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მკვიდრთა ოჯახებში ინახება 50 მილიონ ერთეულზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი. ამ ყველაზე „თავისუფალ“ ქვეყანაში, რომლის კანონმდებლობა წმინდად იცავს მოქალაქეთა მიერ იარაღის ტარების უფლებას, უკანასკნელი 20 წლის მანძილზე მკვლელობათა რიცხვი გაორკეცდა. იმავე დასავლური გაზეთების ცნობით, ყოველ 28 წუთში ამერიკის შეერთებულ შტატებში ხდება ერთი მკვლელობა.

ამერიკის პატარა ქალაქ სან-ისიდროში მომხდარმა შემთხვევამ, რომელზეც მთელი მსოფლიოს პრესა წერდა, ამ ტრაგიკულ რეკორდსაც გადააჭარბა: საათნახევარში აქ დახოცეს 21 კაცი. გაისროლა იარაღმა, რომელიც ეკიდა სასოწარკვეთილი ადამიანის სახლის კედელზე. ქვემოთ შემოკლებით გთავაზობთ სტატიას „საათნახევარი კაფე „მაკდონალდში“, რომელიც გამოქვეყნდა ამერიკული ჟურნალის „ლაიფის“ ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში.

„ეს იყო სუფთა, კარგად განათებული ადგილი, წყნარი და საოჯახო ნაცნობი, „მაკდონალდის“ ფირმის ყველა სხვა კაფეს მსგავსი. კაფეს დახლები გაკეთებული იყო კრიალა პლასტიკისაგან, რომელსაც აპრიალებდნენ წითელზოლიან უნიფორმებში გამოწყობილი ბიჭები, აქვე იყო ლამაზი პოლისტიროლის კონტეინერები, სხვადასხვა კერძის მადის აღმძვრელი ფოტოსურათები.

დღისით ოთხი საათისათვის კალიფორნიის ქალაქ სან-ისიდროში, ამ ტიპიურ ამერიკულ კაფეში, შეიკრიბა ორმოცდაათი კაცი, მათ შორის: სამი ველოსიპედისტი ბიჭი, ოჯახი, რომელიც შვებულებიდან ბრუნდებოდა, ფინჯანი ყავისათვის კაფეში შემოსული სატვირთო მანქანის მძღოლი, ხანშიშესული წყვილი, რომელმაც სადილი შეუკვეთა შინ მისატანად და 14 მოსამსახურე. საათნახევარიც არ გასულა, რომ მათგან 19 უკვე დაჭრილი იყო, 21 — დახოცილი ან მომაკვდავი. თუ დავუმატებთ კაცს, რომელიც მათ ესროდა — უმუშევარ ჯეიმს ჰუბერტს — მსხვერპლი შეადგენდა ოცდაორ კაცს.

მომდევნო დღეებში მშრალმა სტატისტიკამ დაიწყო თავისი აღრიცხვა: მსხვერპლთაგან ყველაზე უხნესი 74 წლისა იყო, ყველაზე უმცროსი — 8 თვის, ორი ქალი ფეხმძიმედ იყო. ჰუბერტი სარგებლობდა 3 თოფით: 9-მილიმეტრიანი „ბრაუნინგის“ პისტოლეტით, 9-მილიმეტრიანი „უზის“ სისტემის ნახევრად ავტომატური თოფით, თორმეტკალიბრიანი დგუშიანი თოფით. ამ იარაღით მან 257-ჯერ გაისროლა და თვითონაც მოკლა 308-ე კალიბრის ტყვიამ, რომელიც კაფედან 113 ფუტის მანძილზე მდებარე ფოსტის სახურავიდან ესროლეს.

ცნობებმა ჯეიმს ჰუბერტის დანაშაულის შესახებ ცოცხლად გადარჩენილთაგან იმიტომ მოაღწია, რომ მათ თავი მოიმკვდარუნეს.

მას ეცვა მუქი ფერის პერანგი და ხაკისფერი შარვალი, შემოვიდა გვერდითა კარიდან და სროლა აუტეხა ყველას, ვინც გაინძრა, იყვირა ან სიცოცხლის რაიმე ნიშან-წყალი გამოავლინა. მისი მსხვერპლიდან ბევრი იპოვეს მაგიდებზე დამხობილი, მათ ჩაბღუჯათ დაულეველი კოქტეილის ჭიქები. თვითონ იგი ხშირად ჩერდებოდა, რათა რესტორნის ტრანზისტორი გადაეყვანა სხვა ტალღაზე, დაელია სოდიანი ვისკი ან დაეტენა თოფი...

როცა სასამართლო ექსპერტმა დაადგინა დაზარალებულთა პიროვნებანი, მაშინვე თვალში ეცათ, რომ დახოცილთაგან 17 ლათინურამერიკული წარმოშობისა იყო. „სან-ისიდრო არის თემი, 15 ათასი მცხოვრებით, რომელიც მექსიკის საზღვრიდან ერთ მილზე მდებარეობს და აქვს ჩრდილოეთის ქალაქის ოფიციალური სტატუსი, ხასიათით კი — ლათინური ამერიკის პატარა ქალაქია“, — თქვა საკონსულტაციო ცენტრის „კასა ფამილიას“ დირექტორმა ანდრეა სკოლერამ. ამ ცენტრში გადარჩენილთა უმრავლესობა მკურნალობდა, — სან-ისიდრო ამ ადამიანებისათვის წარმოადგენდა „განუსაზღვრელ შესაძლებლობათა მხარეს“ (ხშირად ასე უწოდებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს ლათინურამერიკელი ემიგრანტები, რომლებსაც იმედი აქვთ ამ ქვეყანაში ბედნიერება იპოვონ.) „მაკდონალდის“ კაფეში ამის იმედიც ჩაქვდა.

დამწუხრებული მშობლები ამბობენ, რომ ისინი თავს გრძნობენ „დისპრედოდ“ (ესპანურად — სასოწარკვეთილი), ბავშვები, ისინიც კი, ვინც არ ესწრებოდა ამ ხოცვა-ჟლეტას, საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტნენ, უარს ამბობენ ჭამაზე. ღამღამობით აწვალებთ კოშმარები...

...ადამიანი, რომელსაც სან-ისიდროს ბავშვები უწოდებენ „ელ ასასინოს“ (ესპანურად — მკვლელი), ამავე დროს იყო ამ ტრაგედიის ავტორიც და გარკვეული თვალსაზრისით მისი ყველაზე ტრაგიკული პერსონაჟიც. მისი ცხოვრების რამდენიმე ფაქტი უღიმღამო და ბანალურია. ოდესღაც ჯეიმს ჰუბერტს სურდა გამხდარიყო მებაღე, გახდა შემდუღებელი. იქიდან დაითხოვეს, გახდა გუშაგი — ისევ დაითხოვეს. მას ჰქონდა იარაღის დიდი კოლექცია და მისი სარდაფის კედლები ტყვიებით იყო დაცხრილული. ტრაგედიის დღეს თავის ცოლს ეტნას უთხრა: „უნდა მივცე საზოგადოებას მისი შანსი“, და დაამატა რომ აპირებს ადამიანებზე ნადირობას. გაკვეთის შემდეგ აღმოჩნდა, რომ იგი იყო 41 წლის ჯანმრთელი მამაკაცი, არ ჰქონია არავითარი პათოლოგიური ცვლილებანი ტვინში, არც ნაჭრილობევი, არც ნატატუირები, სისხლში არ აღმოაჩნდა არც ნარკოტიკების, არც ალკოჰოლის არავითარი კვალი. მაგრამ გაკვეთას ვერ შეეძლო ეჩვენებინა, თუ რას ფიქრობდა იგი. გილერმო ფლორესი, რომელმაც ძმა დაკარგა, ამბობს: „მე მხოლოდ ის მაწვალებს, რომ ვიღაც, სადღაც ახლა აპირებს დახოცოს 25 კაცი, რომ გადააჭარბოს ჰუბერტის რეკორდს როგორც ოლიმპიურ ასპარეზობაზე. აი რა ხდება ახლა“.

ამ სენტენციაში ორი მეტად მნიშვნელოვანი მომენტია: პირველი — სავსებით შესაძლებელია, რომ ყოველივე ეს სიმართლე იყოს.

მეორე — 12 წლის ბავშვს თავში არ უნდა მოსდიოდეს ასეთი აზრი. (საქინფორმი).

სწავლულის ღვაწლი

ისიდორე დოლიძის დაბადების 70 წლისთავის გამო

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ისიდორე დოლიძე იმ მეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნოდა, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საერთოდ ქართული საბჭოთა იურიდიული მეცნიერებისა და, განსაკუთრებით, ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერების განვითარებაში.

მისი ყრმობა ჩვენს ქვეყანაში დიდი სოციალურ-ეკონომიკური ძვრების ხანას დაემთხვა. ოციანი წლების მიწურულს, როდესაც ჭაბუკი ისიდორე ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირში შევიდა, ახალგაზრდობა თავდადებით იბრძოდა ცხოვრების ახალი ფორმების დასამკვიდრებლად. ი. დოლიძე ამ ხანებში ყალიბდება, როგორც მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

სამართლის თეორიისა და სამართლის ისტორიის საკითხებით დაინტერესებას ახალგაზრდა კაცისთვის მხოლოდ აკადემიური მნიშვნელობა როდი ჰქონდა. ახალგაზრდობა წარსულის ღრმა შესწავლის გზით ცდილობდა მომავლის გზების გაკაფვას, ისტორიული აუცილებლობის ძირითადი ტენდენციების ამოცნობას.

ოცდაათიან წლებში ჩვენთან ისეთი ზედნაშენური კატეგორიის, როგორიც სამართალია, დიდ უკუზემოქმედ როლს წარმოებით ურთიერთობებზე, ანუ ბაზისზე, მიჩქმალავდნენ, მცდარად წარმოადგენდნენ ან საერთოდ უარყოფდნენ.

სამართლის ისტორიის საკითხების კვლევა თავისთავად მიგვითითებს სამართლის, როგორც სოციალური მოვლენის გარკვეულ აქტიურ როლზე და მის მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ ღირებულებაზეც. ამ მხრივ საერთოდ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მკვლევართა და მათ შორის ი. დოლიძის ნაშრომებსაც ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ყურადღებას ამახვილებდა სამართლის, როგორც გარკვეული ისტორიული ფენომენის დიდი სოციალური ფასეულობის ობიექტურად შეფასების მიმართულებით.

ი. დოლიძის საკანდიდატო დისერტაცია ეხებოდა ქართული სამართლის ისტორიისათვის ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიც არის გლეხის უფლებრივი მდგომარეობა ვახტანგ VI სამართლის წიგნის მიხედვით, ხოლო სადოქტორო ნაშრომის საგანი იყო ბექა-აღბუღას კანონების სახელწოდებით ცნობილი სამართლის წიგნი, რომელიც ძვირფას მასალას შეიცავს კერძოდ XIII-XIV საუკუნეების მესხეთისა და შემდეგ სრულიად საქართველოს სოციალური და იურიდიული წყობილების შესახებ.

XIV საუკუნის მესხეთის საკანონმდებლო ძეგლში შემონახულია ბაგრატ კურაპალატის კანონმდებლობა და კანონიკური სამართლის ნორმები, რომლებიც ასახავენ IX-XI საუკუნეებში არსებულ ვითარებას, იგი ჩვენამდე მოღწეული ქართული საერო და საეკლესიო სჯულმდებლობის უძველეს ნიმუშებს შეიცავს.

მართებულია ი. დოლიძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბექა-აღბუღას კანონებს ქართული სამართლის ისტორიისათვის ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სალიკურ სამართალსა და საქსონიის სარკეს ძველი გერმანული სამართლის ისტორიისათვის.

წიგნში „ძველი ქართული სამართალი", რომელიც 1953 წელს გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ, ი. დოლიძემ მესხეთის საკანონმდებლო ძეგლის ორი უძველესი ხელნაწერი შეიტანა. შემდგომ ეს ძეგლი მანვე, ვარლამ დონდუასთან ერთად, თარგმნა რუსულ ენაზე და გამოსცა კიდეც.

„ქართული სამართლის ძეგლების" პირველ ტომში ავტორი კვლავ უბრუნდება ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნს. ძეგლი გამოიცა ვახტანგ VI-ის განკარგულებით სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილი ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნების მიხედვით, მაგრამ შესადარებლად 1672 წლის ხელნაწერია გამოყენებული.

ამრიგად, ი. დოლიძემ ხსენებული სამართლის ძეგლის შესწავლას დიდი დრო შეალია. მესხეთის საკანონმდებლო ძეგლი, უთუოდ, კიდევ მრავალი მკვლევარის ყურადღებას მიიპყრობს და ი. დოლიძის ნაშრომები ყოველი მათგანისათვის იქნება ანგარიშგასაწევი სამეცნიერო ბაზა და საფუძველი.

თვით ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნი, რომელიც სულ 65 მუხლისაგან შედგება, ისეთივე დიდმნიშვნელოვანი ძეგლია, როგორც „რუსკაია პრავდა" ან ივანე III სამართლის წიგნი. ამასთან თავისი არქაული დანაწესებით მას მსოფლიო სამართლის ისტორიისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ როგორც XIV-XV საუკუნეების საქართველოში, ისე რუსეთშიც, საკანონმდებლო ძეგლები მეტისმეტი ეკონომიურობით გამოირჩეოდა. რუსეთის ვრცელი სახელმწიფოს 1497 წლის სამართლის წიგნი სულ 68 მუხლისაგან შედგებოდა. მოსაწესრიგებელ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მრავალესობა დაუწერელი, ჩვეულებითი სამართლის ნორმებით მოგვარდებოდა ხოლმე. ერთი წერილობითი სამართლის ძეგლის გასაგებად ათიოდე დაუწერელი სამართლის მუხლის გათვალისწინებაა საჭირო, რაც, სათანადო მასალების სიმცირის გამო, დიდად ძნელდება. „რუსკაია პრავდისა" და ივანე III სამართლის წიგნის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომების რიცხვი მრავალ ასეულს აღემატება. ჯერჯერობით ქართული სამართლის ძეგლების შესახებ დაწერილი თხზულებები თითებზე ჩამოსათვლელია და მათში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აკადემიკოს ისიდორე დოლიძის თხზულებებს.

ასევე დიდი ღვაწლი დასდო ი. დოლიძემ გიორგი ბრწყინვალის სამართლის და ვახტანგ VI სამართლის წიგნის მეცნიერულ შესწავლას. ხსენებული სამართლის წიგნები მან გამოსცა ორგზის. მეცნიერმა შეისწავლა ვახტანგის სამართლის წიგნის ოთხი უმთავრესი ნუსხა და მათი გათვალისწინებით სცადა ძეგლის კრიტიკულად აღდგენილი ტექსტის წარმოდგენა. ი. დოლიძის წიგნი „სამართალი ვახტანგ მეექვსისა" სწავლულის მრავალწლიანი შრომის შედეგია. თავისთავად მეტყველია ის ფაქტი, რომ ამ ნაშრომმა აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სახელობის პრემია დაიმსახურა.

ი. დოლიძეს გამორჩეული ამაგი მიუძღვის ქართული სამართლის ძეგლების სრული კორპუსის გამოცემაშიც. იგი ძვირფას მასალას შეიცავს საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა საკითხის გასაშუქებლად. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული სამართლის ძეგლებში" ცალკეული ნაკლი და უზუსტობაც არის, მისი მნიშვნელობა მაინც განუზომელია ქართული კულტურის ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისა და სპეციალისტი მკვლევარებისათვის.

ღვაწლმოსილი სწავლულის სახელს უკავშირდება უცხოური სამართლის ძეგლების გამოცემაც. მისი უშუალო მეცადინეობით გამოიცა „სალიკური სამართალი", „ძველი აღმოსავლეთის სამართალი". დაიბეჭდა „შუა საუკუნეების სამართლის" მეორე ტომი. ი. დოლიძის რედაქტორობით გამოქვეყნდა ნიკო ურბნელის „რჩეული ნაწერები", აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა მეექვსე და მეშვიდე ტომები.

განსვენებულ მეცნიერს დარჩა გამოუქვეყნებელი ნაშრომებიც, მათ შორის აღსანიშნავია გამოკვლევა „დასტურლამალის" შესახებ, ნიკოლოზ ბარათაშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებზე და სხვა.

ამაგდარი მეცნიერისა და აღმზრდელის სახელს მოწიწებითა და სიყვარულით ინახავენ კოლეგები და ნამოწაფარნი, რომლებიც ერთგულად განაგრძობენ მის საქმეს.

ლ. გორგილაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;
გ. ნადარეიშვილი,
პროფესორი.

სამეგობროდ გადაშლილი გული

ქართველ და ესტონელ მწერალთა შეხვედრები

საბჭოთა ბალტიისპირეთის ერთ-ერთი უმშვენიერესი რესპუბლიკის — ესტონეთის უძველესი ლიტერატურა ადრე არც ისე ცნობილი იყო ქართველი მკითხველისათვის. ბოლო ხანს მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა. კარგა ხანია თბილისისა და ტარტუს უნივერსიტეტებს შორის სტუდენტების გაცვლა ხდება, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მთარგმნელობითი საქმიანობის გაფართოებას.

ორი რესპუბლიკის მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლებს სურვილი აქვთ კიდევ უფრო ახლოს იცნობდნენ ერთმანეთს. ამ კეთილშობილურ მიზანს ემსახურება ესტონელ და ქართველ მწერალთა შეხვედრები, გუშინ რომ დაიწყო თბილისში და 9 ივნისამდე გასტანს.

ესტონელ მწერალთა დელეგაციის ხელმძღვანელია ცნობილი მწერალი და მთარგმნელი აინ კაალეპი. მის კალამს ბევრი კრიტიკული წერილიც ეკუთვნის, მშობლიურ ენაზე თარგმნილი აქვს სოფოკლეს, არისტოფანეს, ჰორაციუსის, შილერის, გარსია ლორკას ნაწარმოებები. ბოლო ხანს ინტენსიურად მუშაობს „ვეფხისტყაოსნის" ესტონურ ენაზე თარგმნისათვის.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან მერიკე პაუ, უნო უსისოო, ანდრეს ეჰინი, იაან უნტი, ივი როოსმაა, იუტა ბედია.

ეჭვგარეშეა, ეს შეხვედრები კიდევ უფრო გააღრმავებს ორი ხალხის კულტურულ კავშირსა და მეგობრობას.

(„კომუნისტის" კორ.).

სურენ ავჩიანი


ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა საქართველოში მცხოვრები თვალსაჩინო სომეხი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სურენ ავჩიანი.

ჩვენმა მწერალთა ოჯახმა დაკარგა ღვაწლმოსილი, ამაგდარი შემოქმედი, რომელიც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ემსახურებოდა ქართველი და სომეხი ხალხების მრავალსაუკუნოვან ძმობასა და მეგობრობას და თავისი წვლილი შეჰქონდა მის განმტკიცებაში.

სურენ ავჩიანი დაიბადა 1904 წლის 6 ნოემბერს თბილისში. პირველდაწყებითი განათლება საქალაქო სკოლაში მიიღო, შემდეგ სწავლობდა სამრევლო სასწავლებელსა და სომხურ სემინარიაში.

1924-1937 წლებში სურენ ავჩიანი მუშაობდა საქართველოს მეტყევეთა კავშირის ბიბლიოთეკისა და კლუბის გამგედ, 1941-1946 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური ლიტერატურის სექციას. 1962-1965 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკად.

სურენ ავჩიანმა დიდი ამაგი დასდო ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების გაღრმავებას. იგი სიყვარულითა და პასუხისმგებლობის გრძნობით თარგმნიდა ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს სომხურ ენაზე. მისი თარგმანებით გაეცნო სომეხი მკითხველი ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ე. ნინოშვილის, კ. გამსახურდიას, ბესიკის, ა. ჭავჭავაძის, გ. ტაბიძის, ი. აბაშიძისა და სხვათა შემოქმედებას. ხოლო ქართველმა მკითხველმა რომ შეიყვარა ო. თუმანიანის, დ. დემირჭიანის, ა. ისააკიანის, ა. შირვანზადეს, ე. ჩარენცის, ვ. ტერიანის, ო. შირაზის, ს. კაპუტიკიანის შემოქმედება, ამაში სურენ ავჩიანსაც მიუძღვის დიდი წვლილი.

სურენ ავჩიანმა მრავალი გამოკვლევა მიუძღვნა ქართველი და სომეხი ხალხების კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობების საკითხებს. მათ შორის აღსანიშნავია მისი ნაშრომები „ქართულ-სომხური თეატრალური ურთიერთობა", „ნიკოლოზ ბარათაშვილი და სომხური ლიტერატურა", „ქართული მწერლობა სომხურ ენაზე"...

ამავე დროს ფართო საზოგადოებრიობა სურენ ავჩიანს იცნობდა როგორც ნაყოფიერ დრამატურგს, რომლის პიესები „სოსი და ვარდითერი", „ქორ-ოღლი", „საიათნოვა" და სხვა წარმატებით იდგმებოდა სხვადასხვა თეატრის სცენებზე. იგი საინტერესო მოთხრობებისა და ლექსების ავტორიც იყო.

სურენ ავჩიანი დაუღალავ საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდა. არჩეული იყო ალმანახ „ხიდის" სარედაქციო კოლეგიისა და თბილისის სტეფანე შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრად.

წავიდა ჩვენგან სამშობლოს ერთგული შვილი, ღირსეული მოქალაქე და შემოქმედი. სურენ ავჩიანის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ქართველი მწერლებისა და მისი ნიჭის თაყვანისმცემლების გულში.

საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობა; საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო; საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოება.

მომავლის საიმედო საძირკველი

მოსკოვის კინოთეატრ „ოქტომბრის" დარბაზში გაიმართა ახალგაზრდობის ტრადიციული შეხვედრა, რომელიც ამჯერად სტუდენტთა და ახალგაზრდობის XII მსოფლიო ფესტივალს მიეძღვნა. ფესტივალის საორგანიზაციო საბჭომ შეიმუშავა მეტად საინტერესო და ვრცელი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს კულტურული ღონისძიებების მოწყობას და მეგობრულ შემოქმედებით კონტაქტებს. მეგობრობის ერთ-ერთ ასეთ საღამოზე შესაძლებლობა მოგვეცა შევხვედროდით რესპუბლიკის წარმომადგენლებს, რომლებიც ამჟამად მოსკოვში სწავლობენ და მუშაობენ.

აი ზოგიერთი მათგანი. მეცნიერი ქალი ლ. კოლონია აფხაზეთიდან. რამდენიმე წლის წინათ მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და თბილისის ონკოლოგიური ცენტრის მივლინებით მუშაობს ახლა სადოქტორო დისერტაციაზე სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საკავშირო ონკოლოგიურ ცენტრში. იქვე, ზოგადი ონკოლოგიის განყოფილებაში, მუშაობენ ჯერ სრულიად ახალგაზრდა ჩვენი თანამემამულეები გ. გაბუნია და თ. ხარატიშვილი. მათი ხელმძღვანელი ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მოადგილე, აკადემიკოსი ნ. ტრაპეზნიკოვი. გ. გაბუნიას სადისერტაციო თემაა „რბილი ქსოვილების დისპლაზიები". თ. ხარატიშვილისა — „ძვლის რეტიკულოსარკომა". აკადემიკოსი ნ. ტრაპეზნიკოვი კმაყოფილია ახალგაზრდა კოლეგების სიბეჯითითა და მონდომებით, ავადმყოფთა მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებით. დარწმუნებული ვარ, თქვა მან, რომ ისინი მომავალში ყოველთვის ღირსეულად ატარებენ ჩვენი ქვეყნის მოქალაქისა და ექიმის საპატიო სახელს.

და კიდევ ერთი სასიამოვნო ნაცნობობა: ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ცხოვრობს ახალგაზრდა ქართული ოჯახი.

ნ. გვაზავამ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი ჰიდროაეროდინამიკის სპეციალობით, თავისი სადიპლომო ნაშრომი შეასრულა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტში, შემდეგ მივლინებულ იქნა აკადემიკოს ს. ჟუკის სახელობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის მიზნობრივ ასპირანტურაში.

ნ. გვაზავა პროფესორ ვ. ლიატხერის ხელმძღვანელობით წარმატებით იკვლევს ქარის ენერგეტიკულ დანადგარებზე აეროჰიდროდინამიკური დატვირთვების ზემოქმედებას. უკვე მიღებულია თეორიული კვლევის პირველი შედეგები, რომლებიც მოიწონა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. მალიშევმა. ერთ-ერთი ასეთი დანადგარი მომავალში ჩვენთან, საქართველოში, დაიდგმება ლიხთ-იმერეთის ქედზე, კერძოდ, საბუეთის მთაზე. ნატურული ექსპერიმენტები განხორციელდება რიონის ხეობაში, ქალაქ ფოთთან, ყაზბეგის რაიონში და შირაქის ველზე. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოს ბუნებრივი პირობები ძალზე ხელსაყრელია ასეთი დანადგარებისთვის.

ნ. გვაზავას მეუღლე მაია დავითაია წელს მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტს ამთავრებს. ამ დღეებში მან წარმატებით დაიცვა სადიპლომო ნამუშევარი „საქართველოს მაღალმთიანი სოფლების არქიტექტურულ-გეგმარებითი ტრადიციები სვანეთისა და ხევსურეთის მაგალითზე", რომელიც დაამუშავა პროფესორ ვ. შევდკოვსკის ხელმძღვანელობით. სადიპლომო ნაშრომმა სანაქებო შეფასება დაიმსახურა. აი, რას წერს მის შესახებ რეცენზენტი, არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი მ. ვასილიევა: ნაშრომში ჩანს ავტორის სიყვარული მშობლიური მხარისადმი, დიდი ინტერესი საქართველოს უნიკალური სოფლების ბედ-იღბლის მიმართ. განხორციელებულია ფართო მიმოხილვის კვლევითი სამუშაოები, შეგროვილია დიდძალი ფაქტობრივი მასალა, დამოუკიდებელი ნატურული გამოკვლევები სათანადო ჩანახატებით... სადიპლომო ნაშრომი თამამად შეიძლება მივიჩნიოთ შემდგომი სადისერტაციო კვლევის საფუძვლად.

მაიას გადაწყვეტილი აქვს მშობლიურ თბილისში დაბრუნების შემდეგ მუშაობასთან ერთად სწავლა განაგრძოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან არსებულ ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტის დაუსწრებელ ასპირანტურაში...

ვუსურვოთ ჩვენს თანამემამულეებს, ახალგაზრდა მეცნიერებს ახალი წარმატებები თავიანთ სასიკეთო და სასახელო საქმიანობაში.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის" საკ. კორ.
ქ. მოსკოვი.

სალუტ, ფესტივალო!

„ლილეო" მოსკოვს მიემგზავრება

სულ ცოტა დრო რჩება იმ საზეიმო დღემდე, როცა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში, გმირ ქალაქ მოსკოვში გაიხსნება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალი.

აქტიურად ემზადებიან ზეიმისათვის საქართველოს ქალიშვილები და ჭაბუკები. ისინი მოსკოვში გზავნიან ფესტივალის სიმბოლიკიან მაღალმხატვრულ ნაწარმს, ამზადებენ საკონცერტო პროგრამებს ახალგაზრდობის ფორუმის მონაწილეთათვის.

ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს გააცნობს ფესტივალის სტუმრებს საქართველოს დედაქალაქის ლენინის რაიონის მუსიკოსთა და ქორეოგრაფთა საზოგადოების ფოლკლორული ანსამბლი „ლილეო".

სურათზე: ხევსურული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების შემსრულებელი ქეთინო ჭორიძე.

ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„ნიანგი" სტუმრად „შპილკასთან"

პოლონეთში წარმატებით დამთავრდა საბჭოთა კულტურის დღეები. ჩვენი ქვეყნის იუმორსა და სატირას წარმოადგენდა ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი". ჟურნალ „შპილკის" მაისის ნომრის ორ გვერდზე დაბეჭდილი იყო მოსკოველი მწერლის ნაუმ ლაბკოვსკის შესავალი სტატია ქართული იუმორისა და სატირის ტრადიციებისა და დღევანდელობის შესახებ.

ქართველ იუმორისტთა ნამუშევრებს წინ უძღვის ჟურნალ „ნიანგის" რედაქტორის ზ. ბოლქვაძის სტატია და მისი იუმორესკა „ვთქვი მე, თქვა მან".

ნომერში ფართოდ არის წარმოდგენილი ქართული ხალხური იუმორი. აქ დაბეჭდილია ა. ადეიშვილის იუმორესკა „შეშლილი", გ. ფირცხალავას, ი. ყეინაშვილის, ნ. ხოდელის, ვ. კუციას პოპულარული კარიკატურები.

(საქინფორმი).

წყალბურთი

ინტერვიუ ტურნირის დახურვისას

ვლად ხაჯიუ: „დაასწარი მეტოქეს"

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე წყალბურთელთა თბილისის საერთაშორისო ტურნირის დახურვის დღეს ასპარეზობის მასპინძლები გარკვეულწილად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ. ყველაზე შედეგიანი მოთამაშისათვის დაწესებული იყო ერთი პრიზი, პრეტენდენტი კი ორი გამოდგა — საბჭოთა წყალბურთელი სერგი ნაუმოვი და რუმინელი ვლად ხაჯიუ. გამოსავალი გამოიძებნა — ორივეს გადაეცა ორიგინალური სუვენირები. 22 წლის ხაჯიუ, ბუქარესტელი სტუდენტი, მეოთხე წელია ზედიზედ ამ საპრესტიჟო ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი ხდება. თუმცა 178 სანტიმეტრი სიმაღლისაა, მაგრამ კარგად არის კოორდინირებული, ცურავს სპრინტერული სიჩქარით (100 მეტრს — 56 წამში). მაგრამ, რაც მთავარია, საოცრად ზუსტად გრძნობს კარში ტყორცნის მომენტს.

— თბილისში მეექვსედ ვარ, — თქვა პრიზიორმა. — ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო აუზში თამაში დიდ კმაყოფილებას მანიჭებს. თბილისელ მაყურებელთა კეთილმოსურნეობა, რომლებიც შესანიშნავად ერკვევიან წყალბურთის ყველა პერიპეტიაში, კარგი სტიმულია თითოეული სპორტსმენისათვის.

— მაგრამ, ალბათ, მარტო ეს არ გეხმარებათ ბევრი ბურთის გატანაში?

— წყალბურთი კოლექტიური თამაშია. ერთი მოთამაშის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული პარტნიორთა წარმატებულ მოქმედებაზე. როცა მათ თამაში გამოუდით, მეც კარგად ვთამაშობ.

— წყალბურთი ვაჟკაცების თამაშია, დაშავებისაგან არავინ არის დაზღვეული.

— გაცხარებული ბრძოლის დროს გარდაუვალია წაბიძგება, დარტყმა. მაგრამ პატივს არ ვცემ სპორტსმენებს, რომლებიც მოწინააღმდეგეს განზრახ დააშავებენ, კარგი წყალბურთელი, უწინარეს ყოვლისა, კორექტული სპორტსმენია. ამ თვალსაზრისით მისაბაძი არიან საბჭოთა წყალბურთელი ევგენი გრიში და უნგრელი დიორდ გერენდაში.

— მეკარეთაგან ყველაზე მეტად ვინ მოგწონთ?

— ევგენი შარონოვი. იგი მსოფლიოს საუკეთესო მეკარეა.

— თქვენი აზრით მოთამაშეთაგან?

— გიორგი მშვენიერაძე, იტალიელი ანტონელო ესტრიატე და იუგოსლავი მილოვი ბებიჩი.

— ექვსი წელია თვალს ადევნებთ საქართველოს ნაკრების თამაშს, რომელიც თბილისის „დინამოს" წყალბურთელებისაგან არის შედგენილი. თქვენი აზრით, აქვს თუ არა პროგრესი მას?

— მე ყოველთვის მომწონდა ქართველ წყალბურთელთა თამაში. ისინი ტემპერამენტიანად თამაშობენ, იმპროვიზაციის მიმდევრები არიან. კარგად გამოიყურებოდნენ ისინი ამ ასპარეზობაზეც. და ძალიან არ უნდა გატკინოთ გული იმან, რომ თქვენმა გუნდმა თამაშები წააგო. მან ხომ ორთაბრძოლები დათმო წამყვან ევროპულ ნაკრებ გუნდებთან, ამასთან უმნიშვნელო უპირატესობით — 1-2 ბურთის სხვაობით. ეს მოწმობს ახალგაზრდა დინამოელთა კოლექტივის დიდ პოტენციურ შესაძლებლობებს, რამაც, ჩემი აზრით, ქვეყნის პირველობაში უნდა იჩინოს თავი.

შ. შალოლაშვილი,
საქინფორმის კორ.

სპორტული ორბიტა

კალათბურთი. გფრ-ში დაიწყო ქალთა გუნდების ევროპის ჩემპიონატი. „ა" ჯგუფში (კარლსრუე), რომელშიც ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი ასპარეზობს, გაიმართა პირველი მატჩები: რუმინელებმა დაამარცხეს პოლონელები — 83:70, იუგოსლავებმა — ესპანელები — 97:83. საბჭოთა კავშირის ნაკრების მეტოქე პირველ მატჩში საფრანგეთის გუნდი იყო. ეს შეხვედრა დასაწყისიდანვე ჩვენი კალათბურთელების უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა 118:103 (65:46). დღეს საბჭოთა სპორტსმენები იუგოსლავიის გუნდს შეხვდებიან.

რეგბი. ხარკოვში გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები: ქუთაისის „მშენებელმა" დაამარცხა კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროი" — 12-9, სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდმა — ლვოვის „სოკოლი" — 16:0, მოსკოვის „სლავამ" — ლენინგრადის „პრიმორეცი" — 15:6, მოსკოვის „ფილიმ" — მოსკოვის „ლოკომოტივი" — 8:6, კიევის „ავიატორმა" — ალმა-ათის ასკ — 23:3.

ხელბურთი. ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მეორე მატჩში ცსკა-სთან გამარჯვების შემდეგ (25:22) მინსკელ არმიელთა კოლექტივი ოქროს მედლების ყველაზე რეალური პრეტენდენტია. ბელორუსი სპორტსმენები უახლოეს მდევარს — კაუნასის „გრანიტასს", რომელმაც იმავე დღეს მოუგო ჩელიაბინსკის „პოლიოტს" — 35:30, ოთხი ქულით უსწრებენ.

ყვავილები გვეპატიჟებიან...

ცოტაც და, ჩვენს ქალაქში შემობრძანდება ყვავილების დღესასწაული — სილამაზის დიდებული მეჯლისი.

წლევანდელი ყვავილების ზეიმი ძირითადად სამ ეტაპს შეიცავს: სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე მოეწყობა ტრადიციული ყვავილების გამოფენა-კონკურსი, რომელშიც ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ენთუზიასტი მეყვავილეებიც. ისინი თავიანთ ნამუშევრებს წარმოადგენენ.

ზეიმის მეორე ეტაპი გაგარინისა და სანაპიროს ქუჩების გადაკვეთაზე მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელის ახალი ნამუშევრის („ვეფხისა და მოყმის ბრძოლა") საზეიმო გახსნას მიეძღვნება, მესამე ეტაპი კი ახალი სკვერების დათვალიერებას გულისხმობს; რისთვისაც დედაქალაქის რაიონებმა წარმოადგინეს თითო საუკეთესო სკვერი, რომელთა შორის გამარჯვებულს კომპეტენტური ჟიური დაასახელებს.

გარდა ამისა, თბილისის თითოეულ რაიონში მოეწყობა ყვავილების დღესასწაულთან დაკავშირებული საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებები. ასე რომ, 8 ივნისს ყვავილების დღესასწაული საყოველთაო ზეიმად გადაიქცევა.

ი. კუკავა.
თბილისი.

სიკვდილზე უფრო ძლიერი

იმ ქარცეცხლიან დღეთა მოსაგონებლად

ოთხი ათწლეულის შემდეგ ომმა კვლავ გული დაუთუთქა ნინო გერასიმეს ასულ ცინცაძეს მძიმე დანაკლისის ტკივილით. ამას წინათ მას ხელში ჩაუვარდა წიგნი „სამშობლოს საზღვრებზე", რომელშიც ასახულია ნოვოროსიისკელი პარტიზანების გმირობა. და ათობით გვარებს შორის იგი წააწყდა მისთვის ძვირფას დანიელ მდინარაძის სახელს. ასე შეიტყო პატივცემულმა ნინომ უგზო-უკვლოდ დაკარგული ქმრის ბედი, რომელიც სამშობლოსათვის ბრძოლებში დაიღუპა.

დიდი სამამულო ომი 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის ახალგაზრდა სამხედრო ფერშლის ნინო ცინცაძისათვის დაიწყო ქერჩ-ფეოდოსიის სადესანტო ოპერაციაში მონაწილეობით.

რა საწყენია, რომ ასე ცოტა იომა ქართველმა ქალიშვილმა! — წუხდნენ წითელარმიელები, რომლებმაც გონდაკარგული ქალიშვილი ჰოსპიტალში მიიყვანეს: ცხრა ჭრილობა ერთბაშად, ერთ-ერთი მათგანი, როგორც ფრონტელმა მედიკოსებმა განსაზღვრეს, — სასიკვდილო. მაგრამ მიუხედავად ამისა, ქალიშვილი გადარჩა.

ამასობაში დივიზია, რომელიც გააფთრებით ებრძოდა ფაშისტთა ჭარბ ძალებს, იფარავდა ქერჩის პლაცდარმიდან უკანდახეულ საბჭოთა ნაწილებს. მძიმედ დაჭრილები, მათ შორის ნინოც, რომლებიც ევაკუაციას ვერ გადაიტანდნენ, მოათავსეს აჯიმუშკაის კატაკომბების სამტეხლოებში. მათ თავს შეაფარეს თავი ალყაშემორტყმულმა მებრძოლებმა, მშვიდობიანმა მოსახლეობამ, რომლებიც მტერს არ ნებდებოდნენ.

— ჩვენ დაახლოებით ათი ათასი ვიყავით, — იგონებს ნინო ცინცაძე. — და ეს, თუ არ ჩავთვლით მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს — ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებისთვისაც მიწისქვეშეთი უკანასკნელი თავშესაფარი გახდა ოკუპანტთა მასობრივი დახვრეტისა და თარეშისაგან. მიწისქვეშა გარნიზონი არ ნებდებოდა, იბრძოდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

გარნიზონი არ ნებდებოდა. იგი არა მარტო ცოცხლობდა, არამედ იბრძოდა კიდეც. ისინი, ვისაც ჯერ კიდევ შეეძლო მოძრაობა, ვისაც შერჩენოდა რაიმე ძალა, აკეთებდნენ ტიხრებს, გაზსაფარებს, ცდილობდნენ გადაერჩინათ დასუსტებული და დაჭრილი ამხანაგები. საბჭოთა ადამიანების ურყევი ნებისყოფა, მამაცობა და შეკავშირება სასწაულებს ახდენდა და შიშის ზარს სცემდა ფაშისტებს.

ბედი სწყალობდა ყირიმელ პარტიზანთა რაზმს. მათ შეძლეს ბრძოლით გაეწმინდათ გზა ერთ-ერთ შტოლნში, სადაც მძიმედ დაჭრილები იყვნენ. იმ დროისათვის ამ მიწისქვეშა ლაზარეთის ცოცხლად გადარჩენილ ბინადართა შორის იყო ნინო ცინცაძეც. 75 დღე-ღამის განმავლობაში მას იმედი ჰქონდა და სწამდა, რომ დადგებოდა განთავისუფლების სანუკვარი ჟამი. დიდ მიწაზე გასასვლელის გზა, გამოჯანსაღება, საბოლოო გამოკეთება ხანგრძლივი აღმოჩნდა მებრძოლისათვის. და იმ თვეებში ნინო ხშირად ავლებდა გონების თვალს წარსულს, და არა მარტო კატაკომბებში განცდილს, არამედ იგონებდა მშვიდობიან, ომამდელ დღეებს.

ყოველივე ამის გახსენება შურისძიებისათვის მოუწოდებდა. ჭრილობები რომ მოიშუშა, სამხედრო ფერშალი ცინცაძე კვლავ დადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. სტალინგრადი და დონის როსტოვი, ყირიმი და დონბასი, ნოვოროსიისკი და სევასტოპოლი, ოდესა და კიევი — აი მისი საბრძოლო გზის ნიშანსვეტები.

ბერლინამდე ვერ მივიდა, არადა, როგორ უნდოდა მიეღწია ფაშისტთა ბუნაგამდე! კიევთან მძიმე კონტუზია დაემართა. ისევ ჰოსპიტალი, ხანგრძლივი მკურნალობა. და კვლავ მიდის არმიაში, მაგრამ უკვე არა მოწინავე ხაზზე. ნინო მსახურობს ბათუმის ჰოსპიტალში, სამხედრო მედიკოსის ფორმა სამოქალაქო ტანსაცმლით მხოლოდ 1952 წელს შეიცვალა. ამის შემდეგ მუშაობდა სვანეთში, და უკვე იქიდან გადავიდა რუსთავში.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფასონურ-სამსხმელო საამქროს მედპუნქტის უფროს მედიცინის დას ნ. ცინცაძეს ბევრი სამუშაო აქვს. იგი მკაცრად (ზოგი ამბობს „ჩაციებით") აკონტროლებს საწარმოო ჰიგიენის მდგომარეობას, ნებას არ მისცემს ადამიანი გადაიყვანონ უფრო რთულ სამუშაოზე, თუ წინასწარ არ ექნება ექიმების დასკვნა. მაგრამ თუ ვინმე თავს შეუძლოდ იგრძნობს, ჯერ მედპუნქტში შეივლის, პატივცემულ ნინოს მოეთათბირება, შემდეგ კი ქარხნის პოლიკლინიკას მიაშურებს.

დიდი სამამულო ომის მონაწილე ნ. ცინცაძე მშვიდობიან პირობებში ცხოვრობს. მაგრამ განცდილი, დანაკლისი დღესაც აღელვებს. ამის შესახებ ნინო ცინცაძე ლაპარაკობს ახალგაზრდობასთან შეხვედრებზე, სასკოლო საბრძოლო დიდების მუზეუმებში.

სამშობლომ ფრონტელი სამხედრო ფერშლის ცინცაძის მხედრული გმირობა ბევრი საბრძოლო მედლით აღნიშნა. გამარჯვების დღის წინ განვლილი ბრძოლების მონაწილე დააჯილდოვეს II ხარისხის სამამულო ომის ორდენითა და საიუბილეო მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების ორმოცი წელი".

ა. კოჩეტკოვი,
საქინფორმის კორ.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

რედაქცია:
რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01. კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-51, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:
მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-41; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — [illegible]

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

7 ივნისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — კონცერტი. 10.00 — ფილმი — ბავშვებს. 11.20 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 16.50 — ხალხური მელოდიები. 17.05 — მოსკოვის ოლქის აგროსამრეწველო კომპლექსი. 17.40 — რუსული მეტყველება. 18.10 — კონცერტი. 18.55 — მოსწავლეთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთან, მექანიზატორ ნ. ვ. გელერტთან. 19.25 — „ვემსახურები სამშობლოს". დოკუმენტური ფილმი სამგზის საბჭოთა კავშირის გმირზე ი. ნ. კოჟედუბზე. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ადამიანი და კანონი. 20.30 — ისწავლეთ ცურვა. 20.50 — „მთავარი კონსტრუქტორი". მეორე სერია. 22.00 — „ვრემია". 22.35 — ჯაზური პანორამა. 23.00 — კალათბურთი. საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — გამოგვეხმაურეთ მებუკენო! 9.45 — დოკუმენტური ფილმები. 10.10 — კონცერტი. 10.50 — დოკუმენტური ფილმი „მიხეილ შოლოხოვი". 11.50 — საბავშვო მხატვრული ფილმი „ბავშვთა პატრული". 12.55 — ინგლისური ენა. 13.25 — ფილმ-კონცერტი. 14.25 — ა. გერცენი — „ხამყო და ნაზარევი". 15.50 — რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის 80 წლისთავისათვის. რსდმპ მესამე ყრილობის შესახებ. 16.00 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „სამჭედლო". 19.30 — მეტი უკეთესი საქონელი. 20.00 — დოკუმენტური ტელეფილმი დღევანდელი ეთიოპიის შესახებ. 20.50 — ხალხური მელოდიები. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — რიტმული ტანვარჯიში. 21.45 — კამერული ორკესტრის კონცერტი. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი. 24.00 — ახალი ამბები.

თბილისი

7 ივნისი

პირველი პროგრამა. 8.40 — გამოცდები, გამოცდები... 9.00 — „ვრემია". 9.35 — „მოამბე". 10.05 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის. „ცისკარა" — მხატვრული ფილმი „იმ უცნობ გზებზე" (გორკის სახელობის კინოსტუდიის ნაწარმოები). 11.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხამიდ კარაბაევი". 11.35 — სატელევიზიო დადგმა „ჩირაღდანი". 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი (სტუდიაშია ა. ხელაშვილი). 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში (სტუდიაშია ი. ტურაშვილი). 16.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პრემიერა". 17.35 — განცხადებები. 17.40 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.15 — მოსწავლეთათვის. „პიონერთა მეგზური" — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავის გამო. 18.50 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე". 19.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იყო ადამიანი" (ალკოჰოლის მავნეობის შესახებ). 19.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამჭედლო" (მ.). 19.30 — ახალგაზრდობისათვის — „შუქნიშანი". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.35 — „ცეროდენას ეკრანი". 20.55 — „პარტიული დახასიათება — გამოირჩევა მაღალი პროფესიულობით" (რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე თ. სპანდერაშვილი). 21.30 — ახალგაზრდობისათვის — კონცერტი. 21.55 — „საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე". 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი".

მეორე პროგრამა. 16.35 — დოკუმენტური ფილმი „ადამიანი განსაცდელში" (ალკოჰოლის მავნეობის შესახებ). 17.10 — ფილმ-სპექტაკლი „რამაიანა".

თეატრი

7 ივნისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ათას ერთი ღამე (I აბონ. I წარმ.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ასის წლის წინათ; თბილისის სახელმწიფო დრამატული — ჭინჭრაქა; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ღვთაებრივი კომედია; კინომსახიობთა — ცილინდრი; მოზარდ მაყურებელთა ქართული — ბიჭუნა და კარლსონი (საღამოს, სპექტაკლი გაცდენილი აბონემენტებისათვის); ფილარმონია — ფესტივალი „მუსიკოსები ხუმრობენ" (დიდ საკონცერტო დარბაზში).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უუ 08647 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, ნაბეჭდია ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11